

ქარარულ-ეკონომიკური ეაცნიერება და ტექნოლოგიები

№3

**თბილისი
2016**

ქართულ-ეკონომიკური
ეაცნოერება
და
ტექნიკოგიანი

№3

თბილისი
2016

ISSN 1987-6335

**ქართულ-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნიკური გივი
2016 №3 (32)**

საერთაშორისო სამაცხოვრო-
გეთოლოგიური და არაქტიკული,
ყოველპგარტალური რეზერირებული
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies
2016 №3 (32)**

International Sientific-
Methodological and Applied,
Quaterly Referenced Journal

ჟურნალი დაფუძნებულია და გამოიცის
2008 წლიდან. ყოველკვარტალურად

**Journal was Founded in 2008
and is issued quarterly**

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

**თბილისი- Tbilisi
2016**

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუმვილი, თ.კუნჭულია, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: მარტინ აპენბრიცი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), იან პიკული (პოლონეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), ჩახა ჩაკი (უნგრეთი), პანორი ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გავიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-აკადემიური დოქტორი, მჩავლეიშვილი-აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, T.Kunchulia, N. Chkhardtishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze, G. Japaridze.

Foreign members of Editorial–Scientific Board:

professors: Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia); Aleksei Sizonov (Ukraine); Chaba Chaki (Hungary), Ian Piculi (Poland), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. აგრარული ეკონომიკა

Agrarian Economy

სასურსათო პროდუქციის ფასურარმოქმნის სტრატეგია და მისი რეგულირების მექანიზმი

ომარ ქეშელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი,

რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

განხილულია ფასწარმოქმნის სწორი განსაზღვრის მნიშვნელობა და
გავლენას ფერმერთა საქმიანობაზე. წარმოდგენილია ფასწარმოქმნის მირი-
თადი პოზიციები, დადგენის ხერხები და მისი რეგულირების მეთოდები.

- ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს შემდეგს:
- თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანა-
წყობა;
 - ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;
 - ფერმერების შემოსავლის უზრუნველყოფა;
 - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების
ეფექტუანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;
 - საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.

რაც შეეხმა სასოფლო-სამურნეო პროდუქციაზე ფასების დადგენას,
გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის მოცულობა და მისი
ასო-რტიმენტი;
- დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორცია;
- არსებული რესურსების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის მაქსი-
მალურად უზრუნველყოფა.

სასოფლო-სამურნეო წარმოება თავისა სპეციფიკურობის გამო სშირად
საჭიროებს დახმარებას, რაც მოიცავს პირდაპირ სუბსიდიებს, ფასების
რეგულირებას, დაზღვევას და დაკრედიტებას, პროტექციონისტულ პოლი-
ტიკას ზოგიერთ პროდუქციაზე, კვოტირებას და ა.შ.

ფასების რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გლეხს პქნდეს გარანტირებული ფასი, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ დაუდგინოს მათ წლის დასაწყისში, როგორც სასტარტო ფასი, თუმცა ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გამოირიცხული არ არის, რომ მოხდეს მისი კორექტირება გაზრდის ან შემცირების მიმართულებით.

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შეაფერხა როგორც მთლიანად ეროვნული მეურნეობის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებაც. სოფლად წარმოიშვა ახალი საწარმოო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება სათანადო დასაბუთებული რეკომენდაციების გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი მდგრადი განვითარება. დაირღვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებული დარღობრივი სტრუქტურა. საბაზრო ეკონომიკამ თავისი მკაფიო მოთხოვნები წაუყენა ქვეყნის სოფლის მეურნეობას. დაუსაბუთებელმა და ნაჩეარევმა რეფორმებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი უარყოფითი კვალი დამჩნია იმ მხრივაც, რომ კატასტროფულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაც.

სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის შემცირებამ გააუარესა სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობა და გამოიწვია უარყოფითი მიგრაციული პროცესები სოფლი-დან ქალაქის მიმართულებით, რამაც წარმოიშვა უმუშებრობის არნაზული მასშტაბები.

ფასიარმოქმნის სტრატეგია

ფასწარმოქმნის სწორი განსაზღვრა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფერმერთა საქმიანობაზე.

ფასის წინასწარ განსაზღვრა ძალზე რთულია. იგი არ არის მხოლოდ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი და მასზე დამატებული გარკვეული რაოდენობის მოგება. მისი სიდიდე განისაზღვრება ბაზარზე საქონლის მოთხოვნა-მიწოდებით. ფასები არის წარმოების მართვაში ეკონომიკურად საჭირო ინსტრუმენტი, მისი სიდიდე მოიცავს პროდუქციის ხარისხს და გასაღებას, მოგებას და გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას.

პროდუქციის სარეალიზაციოდ მოქმედი ფასები იყოფა რეგულირებად და თავისუფალ ფასებად.

რეგულირებადი ფასები მტკიცდება სახელმწიფოს მიერ. ასეთი ფასებია: ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბუნებრივ გაზზე, მოშსახურების ტარიფებზე. თავისუფალი ფასები კი სახელმწიფოს მიერ არ განისაზღვრება. თავის მხრივ, თავისუფალი ფასები მწარმოებლიდან კონკრეტულ მომზმარებლამდე შუალედური რგოლების გავლისას ღებულობს შემდეგ სახეებს: საწარმო, საბითუმო და საცალო ფასები. საწარმო ფასებიდან საბითუმო და შემდგომ ფასებზე გადასვლისას ფასები იზრდება სხვადასხვა სავაჭრო და საბითუმო დანამატის ხარჯზე, რომელმაც უნდა დაფაროს ხარჯები და მოიტანოს გარკვეული მოგება.

აღნიშნული დანამატები არ არის მცირე. მოხმარების საგნების ფასებში გასაღების ხარჯები, რეკლამაზე გაწეული დანახარჯების ჩათვლით დაახლოებით 60-70%-ია, ხოლო ზოგიერთ პროდუქციაზე საწარმოო ფასის 100%-მდეც აღწევს. რაც მეტი შუალედური რგოლია მწარმოებელს და მომზმარებელს შორის, მთელი მეტია დანამატი ფასზე.

იმის მიხედვით, საქონელი შიდა თუ საგარეო ბაზარზე იყიდება, განასხვავებენ აგრეთვე საშინაო—ქვეყნის შიგნით მოქმედ და საექსპორტო ფასებს. საექსპორტო ფასები, როგორც წესი საშინაო ფასებზე ნაკლებია, რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე დიდი კონკურენციით.

ზოგ ქვეყანაში მოქმედებს ფასდაკლების და ფასდანამატების მთელი სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს გამყიდველს მოახდინოს გარკვეული მანევრირება. პრაქტიკულად, განვითარებულ ქვეყნებში არც ერთი გაცვლა-გაყიდვა არ ხდება იმ ფასში, რომელსაც პირველად დაასახლებს გამყიდველი. ფასების დინამიკისა და მისი დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფასების სხვადასხვა მაჩვენებელი: საკონტრაქტო ფასები, საცნობარო ფასები, ფასების ონდექსი და სხვ.

საკონტრაქტო ფასები გამოხატავს მსოფლიო ბაზარზე ფასების რეალურ დონეს არსებული მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე, მაგრამ საკონტრაქტო ფასებზე ინფორმაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი შეადგენს როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის საიდუმლოებას. ხშირად ასეთი კონტრაქტები ქვეყნდება პრესაშიც, მაგრამ საკონტრაქტო ფასების ჩვენების გარეშე.

საცნობარო ფასები არის ის ფასები, რომლებიც ქვეყნდება უშუალო გამყიდველის მიერ. საცნობარო ფასები არ ასახავს რეალურ საკონტრაქტო ფასებს, ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში ფასდაკლება მატულობს და პირიქით.

ფასების ინდექსი წარმოადგენს ფარდობით მაჩვენებელს, რომელიც გამოხატავს ფასების ცვლილების დინამიკას და არ იძლევა ინფორმაციას ფასების დონის შესახებ. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ პერიოდულად ქვეყნება ინფორმაცია საქონლის გარკვეული ჯგუფების შესახებ, როგორც შიდა სახელმწიფო ორგანიზაციი, ასევე საექსპორტო ფასების ცვლილებები და ამ ცვლილებების ინდექსი საბაზისო წლის მიმართ, რომლისთვისაც ფასების სასტარტო მაჩვენებლის დონედ აღებულია 100.

ფასების ინდექსი წარმოადგენს საჭირო მაჩვენებელს, როგორც საქონლის მწარმოებლისათვის, ასევე მოშმარებლისათვის. თუ ცნობილია ფასების ასოლუტური მაჩვენებელი, ფასების ინდექსის მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს ფასების მდგრამარეობა. იგი გვიჩვენებს ქვეყნების ვალუტის ინფლაციის დონეს და ფასების დინამიკაზე დაყრდნობით იძლევა პროგნოზს მომავალი პერიოდის ფასების შესახებ.

ყველაზე გავრცელებულია ფასების დონის დადგნის ოთხი ძირითადი ხერხი:

- წარმოების დანახარჯებით;
- კაპიტალის შემოსავლებით;
- მოთხოვნაზე ორიენტაციით;
- მიმდინარე ფასეულობის დონით.

პირველ მეთოდს ფართოდ იყენებენ წარმოებაზე ორიენტაციის მიზნით. არსებობს ამ მეთოდის ორი სახესწვაობა: წარმოების სრული დანახარჯების გამოყენებით და წარმოების ზღვრული დანახარჯების გამოყენებით.

კაპიტალის შემოსავლის მეთოდი ეყრდნობა პროდუქციის წარმოების დანახარჯებსა და კაპიტალის დაგეგმილ შემოსავალს შორის სხვაობას. ამ მეთოდის გამოყენების დროს პროდუქციის დანახარჯებს ემატება პროცენტი კაპიტალურ დაბანდებაზე.

ფასების მოთხოვნაზე ორიენტაციით განსაზღვრის მეთოდი ყველაზე ორიგინალურია ფას-წარმოქმნის მეთოდებს შორის. მეწარმეთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა წარმოების დანახარჯებზე, არამედ მისი პროდუქციის მოშმარებელზე მიწოდებით. მეწარმე გამოდის იქიდან, რომ მოშმარებელი განსაზღვრავს შეფარდებას საქონლის ფასეულობასა და მის ფასს შორის და ადარებს მას კონკურენტების საქონლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე დროს, რაც მეტია საქონლის დიფერენციაციის ხარისხი, მით მეტია მოშმარებლის ფასების ელასტიურობა.

კონკურენციის მიზნით ფერმერი აწესებს თავის საქონელზე კონკურენტის ფასზე ცოტა მეტს ან ნაკლებს. თუ საქონელს ხარისხის რამე განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მაშინ ფასის დაწესება კონკურენტზე მეტ ფასად გამართლებულია, იგი მხედველობაში არ იღებს ანალოგიური საქონლის საბაზრო ფასს. თუ კონკურენტმა თავის საქონელზე დასწია ფასი. ხანგრძლივი პერიოდისათვის მსგავს საქონელზე, მეორე მეწარმეც იძულებულია დასწიოს საქონლის ფასი, გაყიდვების მოცულობის გადიდების მიზნით. თუ მას შეუძლია დაიჭიროს მაღალი ფასი და არ შეაძლოს იგი, მაღალი მარკეტინგული მეთოდების ამოქმედებით, მაშინ იგი ინარჩუნებს მაღალ ფასს.

ფერმერი ყველა აღნიშნული მეთოდებიდან ირჩევს მისთვის სასურველ მეთოდს და აწესებს საქონელზე ფასს. ამავე დროს, გასათვალისწინებულია ფსიქოლოგიური ფაქტორი. მაგალითად, მყიდვებულთა უმრავლესობისათვის საქონლის შესახებ ინფორმაცია. ასევე გასათვალისწინებულია კონკურენტთა რეაქცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასების ელასტიურობას. ელასტიურობა გვიჩვენებს რამდენი პროცენტით იცვლება ერთი ცვლადი მეორე ცვლადის 1%-ის შეცვლით. ფერმერმა უნდა იცოდეს რამდენად შეიცვლება მოთხოვნილება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ელასტიურობა გვიჩვენებს მყიდველის რეაქციას მათ მიერ შესყიდული საქონლის მოცულობაზე.

$$\text{ელასტიურობის კოეფიციენტი } Ed = \frac{Q2 - Q1}{Q1 + Q2} : \frac{P2 - P1}{P1 + P2}$$

სადაც, $Q1, Q2$ – გაყიდვების მოცულობაა,

$P1$ – ძველი და 2 ახალი ფასებით.

თუ $Ed < 1$ – მოთხოვნა არაელასტიურია;

$Ed = 1$ მოთხოვნა ერთეული ელასტიურობის ტოლია;

$Ed > 1$ მოთხოვნა ელასტიურია.

თუ მარგეტინგულმა სამსახურმა დაადგინა, რომ საქონელზე მოთხოვნა არაელასტიკურია ($Ed < 1$), ფერმერი ზრდის ფასს ამ საქონელზე. ამავე დროს, მოგება რეალიზაციიდან გაიზრდება, თუ პირიქით, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია ($Ed > 1$), ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება. ამ შემთხვევაში უმჯობესია საქონელზე ფასი

შემცირდეს, ვინაიდან გაიზრდება მოთხოვნა და შესაბამისად ამონაგებიც.

განვიხილოთ მაგალითი საქართველოში ძრობის ხორცის წარმოება 2001 წელს იყო 47,0 ათ. ტ., 2007 წელს 31,3 ათ. ტ., ხოლო საშ. წლიური ფასი 2001 წ. -3,9 ლ., 2007 წელს -6,82 ლ. თუ აღნიშნულ ფორმულას გამოვიყენებთ

$$31300 - 4700 \quad 6,82 - 3,90$$

$$Ed = \frac{31300 - 4700}{4700 + 31300} : \frac{6,82 - 3,90}{3,90 + 6,82} = 2,7$$

$$4700 + 31300 \quad 3,90 + 6,82$$

Ed = 2,7 ე.ი. ელასტიურობის კოეფიციენტი დადგებითია, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია და ძრობის ხორცზე ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება.

ახლა განვიხილოთ ჩაის მაგალითი. მისი წარმოება 2001 წელს იყო 23,1 ათ. ტ., 2007 წელს კი 7,5 ათ. ტ. მისი ფასი (ლ/კგ) 2001 წელს 8,97, ხოლო 2007 წელს 38,21, ფორმულის გამოყენებით მივიღებთ

$$7500 - 23100 \quad 38,21 - 8,97$$

$$Ed = \frac{7500 - 23100}{23100 + 7500} : \frac{38,21 - 8,97}{8,97 + 38,21} = -0,7$$

$$23100 + 7500 \quad 8,97 + 38,21$$

Ed = -0,7 და ჩაის რეალიზაციიდან მოგება იზრდება.

სხვადასხვა საქონელი სხვადასხვაგვარად რეაგირებს ელასტიურობაზე.

არაელასტიური მოთხოვნის საქონელს განეკუთვნება პირველადი მოთხოვნილების საქონელი (პური, შაქარი, ელ. ენერგია და ა.შ); საქონელი, რომელთაც არა აქვს შემცვლელი (რძე, მედი-კამენტები და ა.შ).

ეფუქტიანი სტრატეგიის დამუშავების მიზნით ფერმერის ინტერესებში შედის ინფორმაციის შეგროვება ბაზრის შესახებ, მისი გამოკვლევა, მომზადება, განზოგადება და ამის საფუძველზე საქონლის მიწოდება, აგრეთვე მისი გასაღების ორგანიზაცია. ბაზრის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ფერმერმა უნდა დამუშაოს სტრატეგია, მის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს

ძირითადი საქონლის გაყიდვა მომხმარებელზე. წებისმიერი კონკრეტული სტრატეგიის შერჩევის დროს, იგი იძულებულია დაამუშაოს სპეციალური ფასთა პოლიტიკა, შერჩეული სტრატეგიის შასაბამისად.

ფერმერული მეურნეობა ორიენტაციას ახდენს ბაზრისმოთხოვნილებაზე პროდუქციის გასაღების პირობების მუდმივი შესწავლით, რომელიც საფუძვლად უდევს მისი ძირითადი საქმიანობის ყველა დანაყოფს. ანგარიშგასაწევია ასევე ფასის დადგენა პროდუქციაზე ბაზრის მიმდინარე ფასების დონის მიხედვით, რაც გამოხატავს ფერმერთა წინდახედულობას. ეს მეორდი გამოიყენება ოლიგოპოლიურ ბაზრზე, სადაც იყიდება ერთი სახის საქონე-ლი. ფერმერები ამ შემთხვევაში გამოდიან კონკურენციის პირობებიდან, ისინი ადგენენ საქონელზე ფასებს შედარებით მაღალი ან დაბალი კონკურენტების ფასის მიმართ, მაგრამ თუ საქონელს გააჩნია რაღაც თვისება, რომელიც განასხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან, ან მიღება მყიდველებისაგან როგორც სხვა საქონელი, მასზე ფასი შეიძლება დაწესდეს მოქნილად, კონკურენტების ფასების გაუთვალისწინებლად.

ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელნი ბაზარზე, როგორც წესი, უთვა-ლოგალებენ კონკურენტების ფასების ცვლილებებს. არაერთსახელიანი პროდუქციის ბაზარზე მათ აქვთ შესაძლებლობა რეაგირება მოახდინონ ფასების ცვლილებაზე. თუ ფერმერმა გადაწყვიტა, რომ კონკურენტმა შეამჩნია ფასი იმ თვალსაზრისით, რომ ბიძგი მისცეს ფასების შემცირებას და მოთხოვნის საერთო ზრდას ხანგრძლივ პერიოდზე და ვარაუდობს, რომ სხვა კონკურენტები უთვალთვალებენ მას, მაშასადამე, გაიზრდება ბაზრის ტევადობა, ის იძულებული იქნება შეამციროს ფასი. თუ მწარმოებელს შეუძლია კონკურენტების მოქმედებაზე უპასუხოს მარკეტინგული შესაძლებლობით, თავისი საქონლის მხარდაჭერით, ამ შემთხვევაში ფასი არ მცირდება საქონელზე. მწარმოებლებს ბაზარზე შესვლის პერიოდში შეუძლიათ გაყიდონ საქონელი შედარებით დაბალ ფასში, მოთხოვნის სტიმულირების მიზნით, რითაც მიღლწევა: а) დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოშვება, რაც ამცირებს მის თვითღირებულებას და გასაღების ხარჯებს ერთეულ პროდუქციაზე; ბ) არსებული და პოტენციური კონკურენტების გასწრება.

ფერმერული მეურნეობების წარმატების წინაპირობა ფასწარმოქმნის სწორი პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებაა. ზედმიწევნით უნდა იყოს ათვისებული საბაზრო

ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მეთოდები და ხერხები.

სრულყოფილი კონკურენციის დროს ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ფასების ეგზოგრანულობა. თუ ფერმერები გამოიყენებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას და ფასებს უკარნახებენ უფრო მსხვილ კონკურენტებს, მაშინ საბაზრო ფასი გადაიხრება ზღვრული დანახარჯებიდან მაღლა.

ფასების ინდექსის გაანგარიშებისას სამოშმარებლო საქონლის მოცულობის ზომა უნდა შეირჩეს ისე, რომ ტოლი იყოს საბაზისო და საანგარიშო პერიოდისათვის, თანაც თანაბარი უნდა იყოს მოშმარებელთა კეთილდღეობის დონე.

კონკურენტული ფასების დონე წარმოადგენს ორიენტირს მონოპოლიური, მონოფსიური და მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნისათვის, რამდენადაც ფასების დინამიკა, როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენციისას იქნება ანალოგიური საწარმოო პროცესების მსგავსი ხასიათის პირობებში.

ბოლო პერიოდში ტარიფების ზრდა ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე, ჯაჭვური რეაქციით იწვევს ფასების მატებას საქონლებასა და მომსახურებაზე, რამდენადაც წარმოების ფაქტორთა დანახარჯების გადიდება უცვლელი მოგების პირობებში ფასების ზრდას იწვევს.

სახელმწიფო დახმარება უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომელთა პროდუქციის თვითდირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს.

ევროპის ქვეყნები უკვე დიდი ხანია წარმატებით იყენებს ძალზე საინტერესო საგარეო – ეკონო-მიკურ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკისთვის ზიანის მიენების გარეშე, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონლზე ფასების მაღალ დონეს, და ამავდროულად, წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს.

აღნიშნული მოდელის არსი შემდეგშია: ქვეყნის საზღვარზე ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჯგუფიდან უნდა ამოვილოთ საკომპენსაციო მოსაკრებლები. იმპორტირებული საქონლის და საკომპენსაციო მოსაკრებლების ფასების ჯამური თანხა უნდა უტოლდებოდეს შიდა ბაზრის ფასს.

ამგვარად, საქონლის შემოტანისას მათი ფასები გაიზრდება შიდა ბაზრის ფასებამდე. თუკი ამ დარგების საწარმოები პროდუქციის ექსპორტს მოახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან

მიიღებენ თანხას, რომელიც ტოლი იქნება შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის სხვაობისა.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით, ოღონდ წყლის მაგივრად აქ აიწ-დაიწევს ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი ზრდის ფასებს მსოფლიოს შიდა ბაზრის ფასებამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა სწევს შიდა ბაზრის ფასიდან.

მაგალითად, დავუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ., მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია ვთქვათ 200 დოლ/ტ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ ქვეყანაში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ., ხოლო მსოფლიო ფასი 1000 დოლ/ტ., მაშინ ქვეყნის ექსპორტიორები იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად ხდება ექსპორტის სტიმულირება.

აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისთვის. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს მათი არაჩვეულებრივი მოქნილობა და ფორმალურად აღიარებული შესაბამისობა WTO-s პრინციპებთან.

ფასების რეგულირება

სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავისი სპეციფიკურობის გამო ხშირად საჭიროებს დახმარებას, რაც მოიცავს პირდაპირ სუბსი-დიებს, ფასების რეგულირებას, დაზღვევას და დაკრედიტებას, პრო-ტექციონისტულ პოლიტიკას ზოგიერთ პროდუქციაზე, კვოტირებას და ა.შ.

ფასების რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გლეხს პქონდეს გარანტირებული ფასი, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ დაუდგინოს მათ წლის დასა-წყისში, როგორც სასტარტო ფასი, თუმცა ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გამორიცხული არ არის, რომ ხდეს მისი კორექტირება გაზრდის ან შემცირების მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების რეგულირება შესაძლებელია მოხდეს ასევე დოტაციისა და კომპენსაციის გზითაც. საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს იმ პრიორიტეტული პროდუ-

ქციის ჩამონათვალი, რომელზედაც შესაძლოა გაცემული იქნეს ისინი. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მექანიზმების ამოქმედების დროს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ფასების პარიტეტს, უპირ-ველეს ყოვლისა, ამ დარგის. ქვედარგების – მემცნარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასებს შორის, ხოლო შემდგომ თავად ქვედარგების ძირითად პროდუქტებს შორის. კერძოდ, მარე-გულირებელი ფასთა სისტემის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ცალკეული სახის პროდუქტებსა და მთლიანად აგრარული სფეროს ფასების თანაფარდობის სრულყოფაზე, რადგან ეს პროცესი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურასა და სურსათმწარმოებელთა შემოსავლიანობას. ფასები ჯერ უნდა დარეგულირდეს მემცნარეობისა და მეცხოველეობის დარგების პროდუქტებს შორის. ამას გვასწავლის მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც, სადაც იკვლევენ მარცვლეულისა და

მეცხოველეობის პროდუქტების ფასების შეფარდებას და ოპტიმალურად მიჩნეულია: ხორბალი საქონლის ხორცის მიმართ 1:10, ღორის ხორცის მიმართ 1:9, ფრინველის ხორცის მიმართ 1:8, რძის მიმართ 1:2, კვერცხში 1:0,6 და ა.შ. საქართველოში ეს თანაფარდობა ასე გამოიყურება: ხორბალი საქონლის ხორცში 1:25, ფრინველის ხორცში 1:20, რძეში 1:4, კვერცხში თითქმის 1:1 და ა.შ. როგორც მონაცემებიდან ჩანს, თითქმის ყველა პოზიციაში აჭარბებს ხორბლის ფასს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნაში ფასების პარიტეტი დარღვეულია ხორბლის მწარმოებელთა საზიანოდ. ცხადია,

გარკვეულწილად იმითაც არის გამოწვეული ეს გარემოება, რომ მცირდება ხორბლით დაკავებულ ფართობთა ხვედრითი წილი. ამ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა ქვეყნის ხელისუფლებამ შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, დაარეგულიროს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ფასები იმპორტული უხარისხო პროდუქციის შეზღუდვით. აგრარულ სექტორში ჩარევის ასეთი მაგალითებს ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის ქვეყნებში.

აშშ-ში 1973 წლიდან ფერმერებმა სახელმწიფოდან დაიწყეს საშემო-სავლო დახმარების მიღება „დანაკლისის“ გადასახადების სახით. ეს არის ის გადასახადები, რომლითაც სახელმწიფო აუნაზღაურებს ნაწილი.

აღნიშნული პროგრამა შეეხება მხოლოდ ისეთ ძირითად პროდუქციას, როგორიცაა მარცვლეული, ბრინჯი და ბამბა. ბევრი სხვა პროდუქციის სუბსიდირება ხდებოდა ფედერალური მთავრობის

მიერ. ზოგიერთი პროდუქტისათვის, როგორიცაა ლიმონი და ფორთოხალი, შემოღებულია აშკარა სავაჭრო შეზღუდვები. ეწ. „გასაღების შეზღუდვების” თანახმად მოსავლის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაყიდოს ფერმერმა როგორც ახალი, შეზღუდულია კვირიდან კვირამდე. „გასაღების შეზღუდვის” მეშვეობით ეს დადგენილებები ზრდიან ფასებს, რომლებიც შეიძლება მიიღონ ფერმერებმა.

ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის სურსათით მომარაგებისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას მარაგები, საიდანაც მოუსავლიანობის პერიოდში გაყიდის და მოსავლიანობის დროს შეისყიდის გარკვეული სახის პროდუქციას. შეგავსი პრაქტიკა დანერგილია რუსეთში, სადაც ასეთ მარაგებს „საინტერვენციო” მარაგებს უწოდებენ. მაგალითად, 2007 წელს ამ მარაგებიდან რუსეთში გაიყიდა მილიონ ნახევრი ტონა ასეთი ხორბალი, რაც გამოწვეული იყო ხორბლისა და ხორბლის პროდუქტებზე ფასების მოსალოდნელი ზრდით; შედეგმაც არ დააყოვნა და ხელისუფლების ამ ნაბიჯის გამო ფასები ჯერ დასტაბილურდა, შემდეგ დაქვეითება დაიწყო. აუცილებელია ჩვენც გამოვიყენოთ უკვე აპრობირებული, აღნიშნული სისტემა.

სახელმწიფო ხშირად მიმართავს ასევე სუბსიდიების გაცემას ფერმერებისათვის, იმ დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც ეს უკანასკნელნი გაიღებენ კრედიტის პროცენტის გადასახდელად, რომელიც მათ აიღეს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესაძნად.

სასურველია ასეთმა სუბსიდიამ მიაღწიოს ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთის 90%-ს. ფასებზე ზემოქმედებს ასევე ჯარიმები გადაუხდელ სესხებზე, რაც ჩვენი აზრით სახელმწიფოს მიერ ზოგ შემთხვევაში ჩამოწერილი (გვალვა, სეტყვა, ქარები და სხვა) უნდა იყოს (სახელმწიფო სუბსიდირებით) ან რესტრუქტურიზებული.

ამგვარ სუბსიდიებს დასავლეთის ქვეყნებში ძირითადად ფედერალური ბიუჯეტები გაიღებენ. კერძოდ სოფლის მეურნეობის მთლიან სესხებში რეგიონული ბიუჯეტის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის 30%-ს შეადგენს რუსეთში, კანადაში 50%, გერმანიასა და აშშ-ში 90%..

სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ფასების 20-40%. ეს შეეხება უმთავრესად პირველადი აუცილებელობის სოციალური მნიშვნელობის პროდუქტებს. ფასები უნდა დარეგულირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ენერგომატარებლებზე, საკონსტრუქციო

მასალებზე, სატრანსპორტო ტარიფებზე, რომლებიც გამოდის, როგორც დანახარჯების წარმომქმნელი ყველა სხვა საქონლის წარმოებისას. ამით სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გარკვეულად აკონტროლოს ფასები დანარჩენ პროდუქციაზე.

ფასები შემოსავლების გადანაწილების მძლავრი ბერკეტია. ამიტომ, ვიდრე იგი გარკვეული სახის პროდუქციაზე თავისუფალი რჩება, ხალხთა მასების გაღატაკება და ქონებრივი პოლარიზაცია გაგრძელდება. ამიტომ ზოგიერთი სახის საქონლის ფასებზე კონტროლი აუცილებელია როგორც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ისე შემოსავლების გადანაწილებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრედიტი სოფლის მუსურნეობაში გამოიყენება როგორც საწარმოო დანახარჯების, ასევე ძირითადი ფონდების ცვეთის ხარჯების დასაფარავად. განსაკუთრებული ფურადღება უნდა დაეიძოს მიღებული კრედიტის მიზნობრივ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გარანტირებული ფასების დარეგულირება კრედიტების საშუალებით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტით სარგებლიობისას საბაზრო ფასები მაღალი არ არის, ფერმერებმა სახელმწიფოს უნდა გადასცენ პროდუქტები სესხის დაფარვისათვის. ეს ფორმა მანამდე შეიძლება გამოიყენოს ფერმერმა, სანამ საბაზრო ფასები გარანტირებულზე ზემოთ არ აიწევს.

ფერმერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულირების პროგრამებს, რაც საქმაოდ ეფექტურია ფასწარმოქმნის რეგულირებისას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსებას განსაკუთრებით ფართო მასშტაბები აქვს მიღებული ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ, ბოლო ხანებში თუ ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 100 მლრდ ევროს, აქედან კავშირის აგრარული ბიუჯეტი 50 მლრდ, ანუ თითქმის ნახევარი იყო. 2005 წელს ევროკავშირის 10 ახალი წევრის (პოლონეთი, უნგრეთი და ა.შ.) ფერმერების ფინანსური დახმარებისათვის მიღიარდ ნახევარი ევრო გამოყო.

საშინაო ბაზრის დაუცველობამ, თუნდაც ელემენტალურად, უცხოური არაეთილისინდისიერი კონკურენციისაგან უკვე მიგვიყვანა სამატულო ბაზრის დაკარგვასთან, რომლის დაბრუნებისათვის საჭიროა დიდი დამატებითი ხარჯები, რისი გაღებაც ფერმერებს არ ძალუბო. ამიტომ, ფერმერული მეურნეობები უნდა დავიცვათ დამლუპველი უცხოური კონკურენციისაგან. უნდა გადაწყდეს საკითხი და ეკონომიკისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესამების შესახებ. ღია ეკონომიკის პირობებშიც აუცილებელია ეროვნული

ინტერესების დაცვა. კონტროლი იმიტომაცაა საჭირო, რომ ქვეყანაში არ შემოვიდეს უხარისხო პროდუქცია. ამასთან ერთად, უნდა შევისწავლოთ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ვაჭრობის კონიუნქტურაში, რაც შეიძლება ნებატიურად აისახოს ჩვენს ეკონომიკაზე, რათა ღროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.

მისწრავება ღია ეკონომიკისაკენ, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენებისაკენ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, თუ უცხოური საქონელი ჯაბნის საკუთარს და ამარცხებს კონ-კურენციულ ბრძოლაში, საჭიროა სამამულო მწარმოებლის დაცვა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ტარიფული პროტექციონიზმი, სავალუტო პოლიტიკა, საბაზო გადასახადი, სატარიფო ბარიერები (ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, კვოტები, სახელშეკრულებო შეზღუდვები, მოთხოვები იმპორტული საქონლისადმი და სხვა). ბაზარი უნდა უზრუნველვყოთ სამამულო მწარმოებლებისათვის და შევინარჩუნოთ საქამაოდ ქმედითი კონკურენტული გარემო. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საშინაო ბაზრის გაფართოებას საოჯახო და საზოგაცემო მოთხოვნის გადიდებით, სახელმწიფო ხარჯებით წარმო-ების მხარდაჭერაზე.

გადახდისუნარიანი მოთხოვნის ხელოურმა შემცირებაშ საქონელწარ-მოების მკვეთრი დაცემის პირობებშიც კი გამოიწვია ბაზრის გაჯერება და ცხადია, ფასების ზრდის შენელება; ასე, რომ, ბაზრის დღევანდელი გაჯერება „მიღწეულია“ ბაზრისაგან მოშხმარებელთა უზარმაზარი მასის ჩამო-შორებით.

აუცილებელია ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მდიდრო ურთიერთკავშირი, რამდენადაც მათ შერწყმას შეუძლია უზრუნველყოს ფერმერული მეურნეობების ნორმალურად ფუნ-ქციონირებისათვის სათანადო შემოსავალი.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის ყველა ეკონომიკურ სისტემასთან. ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს შემდეგს:

- თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობა;
- ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;
- ფერმერების შემოსავლის უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;

— საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.

რაც შექება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დადგენას, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

— საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის მოცულობა და მისი ასორტიმენტი;

— დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორცია;

— არსებული რესურსების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო სწორად დავარეგულირებთ ფასებს წარმოების სტადიაზე, მით უფრო რეალურად განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულება და ფასები უფრო რეალურად ასახავს კვლავწარმოების პროცესს.

იმ სამრეწველო საშუალებების ფასების განსაზღვრისას, რომლებიც წარმოებულია სოფლისათვის, არ უნდა ვიყენებდეთ შეზღუდვას. პირველ რიგში უნდა შევაჩეროთ მისი ზრდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით გადავიდეთ თავისუფალ ფასებზე, ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომა. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ძირითად სახეობებზე შემოვიდოთ სახელმწიფო რეგულირება, ნაწილობრივ კი ზღვრული ფასები ენერგომატარებლებზე, უმეტესად კი—სამრეწველო დანიშნულების იმ საქონელზე, რომელსაც საჭიროებს აგრარული სექტორი. აუცილებელია ასეთი ფასების ინდექსირება ინფლაციის გათვალისწინებით. ასევე, ზღვრული ფასების შემოღების დროს უნდა დავაწესოთ ეკონომიკური სანქციები გადაჭარბების ან სტიმულირების დონის შემცირებისათვის.

ფასების სტაბილიზაცია და მისი შემცირება შესაძლებელია დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე.

ფასებსა და ფასწარმოქმნის სტრატეგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბაზარზე ფურმერის საქმიანობის წარმატებისათვის.

ქვეყნაში ფასების, ფასწარმოქმნის და მისი რეგულირების მიზნით საჭიროა ფინანსთა სამინისტროში ფუნქციონირებდეს სტრუქტურული ერთეული, რომელიც პერიოდულად გაანალიზებს სამომხმარებლო ბაზარზე მოქმედ ფასებს, ამასთან მისი ძირითადი ფუნქცია იქნება ფასების რეგულირების რეკომენდაციების და ნორმატიული აქტების მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასი კომპლექსური საბაზრო კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი მიეკუთვნება ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორთა საკონტროლო ჯგუფს, რომელიც

განსაზღვრავს მოგებას. ტრადიციულად ფასთა სტრატეგია ცუდად ვითარდება საქართველოს ბიზნესში და მათ შორის აგრარულ სექტორში, კერძოდ უმეტესწილად ფასების დადგენა ხორციელდება დანახარჯების სტრუქტურის აღეპვატური აღრიცხვის გაუთვალისწინებლად (ამაზე თუნდაც ზემოთ მოყვანილი ყურძნის თვით-ღირებულების გაანგარიშებაც მოწმობს). გარდა ამისა, დამუშავებული ფასთა სტრატეგია შეუსაბამობაშია მათ საერთო სტრატეგიასთან, კერძოდ, არასაკმარისად არის გამოყენებული ისეთი ძლიერი ფაქტორი, როგორიც არის ფასი ბაზრის რეგულირებაში.

Food product pricing strategy and its regulation mechanism

O. Keshelashvili

Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract (Internet Version)

Pricing is discussed for determining the correct meaning and impact of farmers' activities. Pricing of the key positions, and methods of determining the method of regulation.

Pricing mechanism should be based on the following:

- Free from the state regulation of prices and coordination;
- Normative price calculation methods;
- Ensuring farmers incomings
- Scientific and technological progress by stimulating circulation of efficiency to reduce costs;
- Financial and credit system to optimize the relationship.

We spoke about the establishment of agricultural products prices, account should be taken of the following conditions:

- For the public to go to the range and volume of products;
- Optimal proportion between accumulation and consumption;
- The resources available within the software to maximize production efficiency.

Agricultural production in its specificity, are often in need of assistance, including direct subsidies, price regulation, insurance and lending, the protectionist policies of some products, quotas, etc.

In order to regulate the prices of agricultural products for farmers to have a guaranteed price, which can determine the state of the beginning of the year, as the starting price, however, inflation and other factors is not possible to be adjusted by increasing or decreasing direction.

სელექცია და გენეტიკა Breeding and Genetics

სორბალ გეორგიპუმისა და სორბალ დიპას
შეჯვარებით მიღებულ
F₁-F₂ თაობის პიბრიდებაზი მთავარ თავთავზე
მარცვლების რიცხვის მემკვიდრეობა

6.მერაბიშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,

ლ.ბაიდაური

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,

მ.მერაბიშვილი

დოქტორანტი

რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

სახეობათაშორისი მარტივი პიბრიდების პირველ თაობაში, მთავარ თავთავში ვწვდებით მარცვლების რიცხვის დეპრესიას, ხოლო რთულ პიბრიდებში ეს მაჩვენებელი მცირდება და მიღებული პიბრიდები იხრებიან დაბალი შემარცვლის მქონე შმობლებისაკენ.

მეორე თაობის მარტივ სახეობათაშორის პიბრიდებში მარცვლების რიცხვში აღინიშნა დეპრესია. მეორე თაობაში მაღალია ფორმათა წარმოქმნის პროცესი, ადგილი აქვს ტრანსგრესიას მარცვლების რიცხვის გადიდების (დადებითი ტრანსგრესია) და შემცირების (უაყოფითი ტრანსგრესია) მიმართულებით. გამოითიშება სტრესული, ნახევრად სტერილური და ფერტილური მცენარეები.

შესავალი. გენეტიკური და სელექციური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ხორბლის კულტურის პროდუქტიულობას განაპირობებს ისეთი ელემენტები, როგორიცაა გადარჩენა, პროდუქტიული ბარტყობა, თავთავში მარცვლების რიცხვი, თავთავის სიმკვივე, ერთი თავთავის მარცვლის მასა, 1000 მარცვლის მასა და სხვა.

თავთავზე მარცვლების რიცხვი წარმოადგენს ძლიერ ცვალებად ნიშანს, რომელიც დამოკიდებულია გარემო პირობებსა და ჯიშის გენეტიკურ თავისებურებაზე. თავთავში მარცვლების რიცხვის მეტკვიდრეობაში აღნიშნულია სხვადასხვა შემთხვევა დეპრესიდან ჰეტეროზისამდე, თავთავში მარცვლების რიცხვი კონტროლირდება გენების ადიტიური მოქმედებით. ამასთან ერთად ზოგიერთი გენი ავლენს დომინირებას, ან ზედომინირებას, ამავე დროს ამ გენებზე ძლიერად მოქმედებს გარემო პირობები.

ობიექტი და მეთოდი: ექსპერიმენტი ტარდებოდა მუხრანის სასწავლო საცდელი მეურნეობის და ასურეთის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე. შეჯვარებაში ჩართული იყო საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები: ხორბალი გეორგიკუმი-კოლხური ასლი-T.georgicum var.chvamlicum და ხორბლის სახეობა ქართლკუმის-და-კას-T.carthlicum-ის სახესხვაობები. Var. Stramineum (ფითო-დკა); Var.rubicinorum (წითელ დკა); Var. fulicinosum. (შავი დკა) გამოყენებული იქნა ხორბლის შეჯვარების შეზღუდულ-თავისუფალი მეთოდი.

შედეგები და განხილვა. ჩვენს ცდებში, პიბრიდულ კომბინაციებში მონაწილე მშობელი ფორმები მთავარ თავთავში მარცვლის რიცხვით მეტად განსხვავდებოდნენ. შეჯვარებაში მონაწილე ხორბალ ქართლიკუმის სახესხვაობებში ეს ნიშანი მერყეობდა 46,3-დან 58,5 ც-მდე, ხოლო ხორბალ გეორგიკუმის მთავარ თავთავში მარცვლების რიცხვი ტოლი იყო 64,5 ცალისა.

პირველ თაობაში მარტივი შეჯვარების დროს ყველა პიბრიდულ კომბინაციაში განურჩევდად შეჯვარების მიმართულებისა და შეჯვარებაში მონაწილე მშობელი ფორმისა, ადგილი ჰქონდა დეპრესიას. საფეხურებრივი (რთული) შეჯვარებით მიღებულ პიბრიდებში მთავარ თავთავზე მარცვლების რიცხვი პიბრიდული კომბინაციების მიხედვით საგრძნობლად ცვალებადი იყო. ამ შეჯვარების შემთხვევაში პიბრიდული მცენარეები ჩამორჩებოდნენ მშობელ ფორმებს, იყო ერთეული შეჯვარებები, სადაც მთავარ თავთავზე მარცვლების რიცხვის მიხედვით პიბრიდული მცენარეები უახლოვდებოდნენ ამ ნიშის დაბალი მაჩვენებლის შემნე მშობელ ფორმას, ან მცირე მნიშვნელობით სჯობნიდნენ მათ. ასეთ პიბრიდულ კომბინაციას მიეკუთვნება (გეორგიკუმი X თეთრი დიკა) X წითელი დიკა. ერთჯერად ბეკპროსირებულ პიბრიდებში ყველა პიბრიდულ კომბინაციაში მთავარ თავთავზე მარცვლების რიცხვი კვლავ გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მათ მშობელ ფორმებში. ორჯერადი ბეკპროსირების შემთხვევაში მთავარ თავთავზე

მარცვლების რიცხვით ჰიბრიდული მცენარე იკავებდა ან შუალედურ მდგომარეობას, ან გადახრილი იყო დაბალი მაჩვენებლის მქონე მშობელი ფორმისაკენ. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ შემდეგი ჰიბრიდული კომინაციები: (წითელი დიკა X გეორგიკუმი); (გეორგიკუმი X წითელი დიკა); (თეთრი დიკა X გეორგიკუმი); (შავი დიკა X გეორგიკუმი).

სამჯერადი და ოთხჯერადი ბეჭეროსული შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული მცენარე მთავარ თავთავზე მარცვლების რიცხვის მიხედვით შეჯვარებაში მონაწილე მშობელ ფორმებთან მიმართებაში ან იკავებდნენ შუალედურ მემკვიდრეობას ანდა გადახრილი იყვნენ უკეთესი მშობელი ფორმის მაჩვენებლისკენ.

პირველი თაობის ჰიბრიდულში მთავარი თავთავის მარცვლის რიცხვი შედარებით მაღალია მაშინ, როდესაც ამ ჰიბრიდის მდედრობითი ფორმა სასიათლება მთავარ თავთავზე მარცვლების მეტი რიცხვით.

მეორე თაობაში, ისევე როგორც პირველ თაობაში მარტივი შეჯვარების დროს ადგილი ჰქონდა სრულ დეპრესიას.

შეჯვარებებში, მცენარეები მთავარ თავთავში მარცვლის რიცხვით ჩამორჩებოდნენ მშობელ ფორმებს. მშობელი ფორმების აღნიშნული ნიშანი ცვალებადობდა 35,7-დან 56,5 მარცვლამდე, ხოლო ჰიბრიდული მცენარეების 31,8-დან 42,0 მარცვლამდე. მათი მინიმალური და მაქსიმალური მთავარ თავთავზე მარცვლის რაოდენობა მერყეობდა 10-დან 70 მარცვლამდე, რაც ასევე საგვარტომ მაღალპროდუქტოული მცენარეების გამორჩევის საშუალებას იძლევა.

საფეხურებრივი, აგრეთვე ბეჭეროსული (ერთჯერადი- ოთხჯერადი) შეჯვარების შედეგად მიღებულ ჰიბრიდულ კომბინაციებში უფრო მეტი მცენარე გამოითმა მთავარ თავთავზე მარცვლების მეტი რიცხვით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა მარტივი შეჯვარების დროს. თითოეული კომბინაციის შეგნით მთავარ თავთავში მარცვლების რიცხვი საკმაოდ მრავალფეროვანია. ასევე განსხვავდებან ჰიბრიდული კომბინაციები საგვარტომ მაღალპროდუქტოულ მცენარეთა გამორჩევის რაოდენობის მიხედვით.

მეორე თაობაში დათიშვის თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა დადებით ტრანსგრესიას. ჰიბრიდული კომბინაციები ერთმანეთისგან განირჩეოდნენ არა მარტო დადებითი ტრანსგრესიის სისმირით, არამედ მისი გამოვლენის ხარისხითაც.

დასკვნა. ჩვენს მიერ გაანალიზებული ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ მთავარ თავთავში მარცვლების რიცხვი

მეტად მრავალფეროვანია და ძლიერ ცვალებადი ნიშანია. მიუხედავად იმისა, რომ შეჯვარებებში მიღებული მცენარეები მთავარ თავთავში მარცვლების რიცხვით საქმაოდ ჩამორჩებიან საწყის ფორმებს, მათ პოპულაციებში საკმაო რაოდენობითა გამოითქმულ თავთავში მარცვლების მეტრიცხვიანი მცენარეები, რაც საშუალებას გადამლეს ადრეულ თაობაში დაწყებული სავეხურებრივი შეჯვარებიდან გამოვარჩიოთ საგარტომო, მაღალპროდუქტიული მცენარეები.

მთავარ თავთავში მარცვლების რაოდენობის მიხედვით, როგორც ამ მაჩვენებლის გადიდების ასევე შემცირების მიმართულებით აღინიშნა ტრანსგრესია. მეორე თაობაში შეჯვარების მიმართულებისა და შეჯვარებაში მონაწილე შშობელი ფორმების მიხედვით პოპულაციებში გამოითქმა სხვადასხვა დონის ნიშნის მატარებელი მცენარეები, კერძოდ, გამოთქმულ მცენარეთა გარკვეული ნაწილი შეჯვარების სხვადასხვა ეტაპზე უახლოვდებოდა ან უტოლდებოდა, მთავარ თავთავში მარცვლების რაოდენობით, დაბალი მაჩვენებლის მქონე შშობელ ფორმას, აღინიშნა აგრეთვე შუალედური დამტკვიდრების ხასიათი და გადახრა მაღალი მაჩვენებლის მქონე შშობელი ფორმისაკენ. მეორე თაობაში ადგილი ჰქონდა სტერილური მცენარეების გამოითქმას.

Inheritance of Quality of Grains in a Main ear of Hybrids of the First and Second Generation received as a Result of Crossing of Wheat Georgicum with Dika Wheat.

Abstract (Internet Version)

**N. Merabishvili,
L. Baidauri,
M. Merabishvili**

In the first generation of inter specific simple hybrids takes place a depression of quantity of grains in the main ear Complex hybrids on this indicator tend to parental forms having low graining. The quantity of grains is rather high in that case when Dika wheat pistil is pollinated by grains of pollen of wheat Georgicum.

In the simple inter specific hybrids of the second generation in number of grains in a main ear depression is marked. Together with the growth of crossing number this depression gradually disappears. In the second generation morphogenesis process is high. Transgression on increase (positive transgression) and reduction (negative transgression) of quantities of grains in a main ear takes place. Sterile, semi sterile and fertile plant

**სოლბალ გეორგიკუმის და სოლბალ
ძართლიკუმის შეჯვარებით მიღებული $F_1 - F_2$
თაობის პიბრიდებაში მთავარი თავთავის
გარცვლის მასის მემკვიდრეობა**

ნ.მერაბიშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ლ.ბაიდაური

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
მ.მერაბიშვილი

დოქტორანტი

**რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)**

სახეობათაშორისი შეჯვარებით მიღებული F_1 თაობის პიბრიდები მთავარ თავთავის მარცვლის მასის მიხედვით ჩამორჩებან საწყის ფორმებს. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია მაშინ, როცა გეორგიკუმი დედა ფორმადა წარმოდგნილი. ამ ნიშის მიხედვით ადგილი აქვს დეპრესიას. პარცვლი თაობის მცენარეთა თავთავში ვითარდება ბური მარცვლები. უფრო მეტად ამოესტული მარცვლიანობით გამოირჩევან პიბრიდები, რომლებიც მიღებული იყო ბეკკრისირების მეთოდის გამოყენებით.

მეორე თაობაში ადგილი აქვს დათიშვას, მთავარ თავთავის მარცვლის მასის გადიდების (დადგითი ტრანსგრესია) ან შემცირების (უარყოფითი ტრანსგრესია) მიმართულებით. დადგითი ტრანსგრესიული ფორმების მიხედვით ე. წ. "ჯიშთწარმოქმნის" ყველაზე მაღალი კომბინაციური უნარით გამოირჩევან კომბინაციები, რომელთა მიღებაში მამრობით ფორმად გამოყენებულია ხორბალი გეორგიკუმი.

შესავალი. გენეტიკური და სელექციური გამოკლევებით დადგენილია, რომ მცენარის მოსავლიანობა რთული ნიშანია, და წარმოადგენს პროდუქტიული ბარტყობის, თავთავში მარცვლების რიცხვის, ერთი თავთავის მარცვლის მასის და 1000 მარცვლის მასის ნამრავლს.

ლიტერატურაში არსებული მონაცემებით მარცვლის მოსავლიანობის მემკვიდრეობის შესახებ, გამოკვლევები ძირითადად ჩატარებულია პიბრიდულ კომბინაციათა მცირე რიცხვზე. გამოქვეყნებულ გამოკვლევებში განხილულია მხოლოდ ცალკეული ნიშნის ქცევა, მათ პიბრიდულ თაობებში ვარირება, გენური კონტროლი, მემკვიდრეობის ხასიათი და ა.შ..

არსებული მონაცემების თანახმად მარცვლის მოსავლიანობის მექანიზმების ხასიათი, როგორც პირველი ასევე მეორე თაობის სხვადასხვა კომბინაციებში შეიძლება იყოს მეტად განსხვავებული-დაბალმოსავლიანი მშობლის სრული დომინირებიდან, მაღალმოს-ავლიანი მშობლის ჰეტეროზისის მიმართულებით გადახრილი.

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ მოსავლიანობის მე-მკვიდრეობის ხასიათი დამოკიდებულია შეჯვარების მიმართულებაზე.

დადგენილია, რომ ნიშანი ერთი თავთავის მარცვლის მასა პირდაპირ დამოკიდებულებაშია თავთავში მარცვლების რიცხვზე და მათ სიმსხოზე. ერთი მათგანის გადიდება ან შემცირება გავლენას ახდენს 1 000 მარცვლის მასაზე.

პ.ლუია ნენკოს მონაცემებით თავთავის პროდუქტიულობა სა და მარცვლის მოსავლიანობაში არსებობს მუდმივი და დადებითი კორელაცია. პირველ თაობაში, თავთავში მარცვლის მასის მაღალ დომინირებაზე და ამ ნიშნის მიხედვით ჰეტეროზისის არსებობაზე მიუთითებს მრავალი ავტორი (პ.ლმოვა, მ.კოვბასენკო და სხვ.) აღნიშნული აქვთ ასევეშუალედური მექანიზმები.

ამრიგად, ლიტერატურული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი თავთავის მარცვლის მასის მექანიზმების ხასიათში შეუძლებელი ხდება გარკვეული ტენდენციის დადგენა. კონკრეტულ სიტუაციასთან დამოკიდებულებით ჰიბრიდებში. ამ ნიშნის მექანიზმებაში, შეიძლება სჭარბობდეს როგორც მაღალი ასევე დაბალი მაჩვენებელი.

თბიერტი და მეოთხები: ექსპერიმენტი ტარდებოდა მუხრანის სასწავლო საცდელი მეურნეობის და ასურეთის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე. შეჯვარებაში ჩართული იყო საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობები: ხორბალი გეორგიკუმი-კოლხური ასლი-T.georgicum var.chvamlicum და ხორბლის სახეობა ქართლკუმის-დაკას-T.carthlicum-ი ს სახესხვაობები. Var. Stramineum (თუთი დაკა); Var.rubicinum(წითელ დაკა); Var. fulicinosum. (შავი დაკა) გამოყენებული იქნა ხორბლის შეჯვარების შეზღუდულ-თავისუფალი მეთოდი.

შეფეხები და განხილვა. ჩვენს ცდებში, მარტივი შეჯვარების შემთხვევაში ჰიბრიდულ კომბინაციებში თავთავში მარცვლის მასის მიხედვით ადგილი ჰქონდა დეპრესიას. ხორბალ დიკასა და ხორბალ გეორგიკუმის შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული მცენარის თავთავის მარცვლის მასამ შეადგინა 0,6-0,8 ხოლო მათი მშობლების 1,4-1,5 გრ. აღნიშნული ნიშნის მიხედვით შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა შემდეგი კომბინაციები: თეთრი

დიკა X გეორგიკუმი; შებრუნებული კომბინაცია; გეორგიკუმი X შავი დიკა.

საფეხურებრივი შეჯვარებით მიღებული ჰქიბრიდული მცენარის საანალიზო ნიშანი მშობელ ფორმებთან შედარებით ძირითადად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა, მხოლოდ რამოდენიმე ჰქიბრიდულ კომბინაციაში გამოვლინდა დაბალი მაჩვენებლის მქონე მშობელთან თანატოლობა ასეთი ჰქიბრიდული კომბინაციები იყო: ერთჯერადი ბეკროსული შეჯვარების შემთხვევაში (შავი დიკა Xგეორგიკუმი), Xშავი დიკა; (თეთრი დიკაXგეორგიკუმი)Xთეთრი დიკა; (გეორგიკუმიXთეთრი დიკა)Xთეთრი დიკა; (წითელი დიკაXგეორგიკუმი)X წითელი დიკა; (გეორგიკუმიXწითელი დიკა)Xწითელი დიკა.

ანალოგიური შედეგები მივიღეთ ორჯერადი ბეკროსირების შემთხვევაში. შემდგომი ბეკროსირების (სამჯერადი, ორთხჯერადი) შედეგად მიღებული ჰქიბრიდული მცენარე მთავარი თავთავის მარცვლის მასის მიხედვით უახლოვდებოდა შუალედურ მემკვიდრეობას (ერთული კომბინაციები). ძირითადად კომბინაციების აღნიშნული ნიშანი ჩამორჩებოდა კომბინაციაში მონაწილე მშობელ ფორმებს. ან უტოლდებოდა დაბალი მაჩვენებლის მქონე მშობელს.

ამრიგად, ჰქიბელი თაობის ჰქიბრიდებში მთავარი თავთავის მარცვლის მასის მიხედვით ადგილი აქვს დეპრესიას, მცირეოდენი გადახრებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი კომბინაციის მცენარეთა აღნიშნული ნიშანი უტოლდება დაბალი მაჩვენებლის მქონე მშობელს, ერთჯერადი ბეკროსული შეჯვარების დროს შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა.

მეორე თაობაში ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტის ანალიზმა, გვიჩვენა რომ ისევე რომ ჰქიბელ თაობაში, ჰქიბრიდული პოპულაციების ერთი თავთავის მარცვლის მასის საშუალო მაჩვენებელი ჩამორჩებოდა ორივე მშობლის საშუალო მაჩვენებლებს.

მეორე თაობაში ჰქიბრიდულ კომბინაციებში რომელთა მიღებაში მონაწილეობდა ხორბალი დიკა და ხორბალი გეორგიკუმი აღნიშნული ნიშანი ცვალებადობდა 1,0-დან 1,1 გრ. ფარგლებში, მაშინ როდესაც მათი მშობლების თავთავის მარცვლის მასის საშუალო მაჩვენებლები მერყეობდა 1,5-დან 1,6 გრ. ფარგლებში.

როგორც აღვიშნეთ, ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა ჰქიბრიდულ კომბინაციაში პოპულაციათა მთავარ თავთავზე მარცვლების მასის საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება მათ მიღებაში მონაწილე მშობელი ფორმების მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა მთავარი თავთავის მარცვლების მასის მაჩვენებლით კომბინა-

ციების დიდმა ცვალებადობამ (მინიმუმი-მაქსიმუმი) საშუალება მოგვცა დათიშული ფორმებიდან გამოგვერჩია საგვარტომო მაღალპროდუქტიული მცენარეები, რომლებიც თავთავზე მარცვლების მასის მაჩვენებლით საგრძნობლად აღემატებოდნენ მათ მიღებაში მონაწილე საუკეთესო შშობლის მაჩვენებელს.

ხორბალ დიკას და ხორბალ გეორგიკუმის შეჯვარების შედეგად მეორე თაობაში გამოითიშა მაღალფერტილური მცენარეები, რომლებიც უტოლდებოდნენ მშობელ ფორმებს ან სკობნიდნენ მათ.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ხორბალ გეორგიკუმის და ხორბალ დიკას მონაწილეობით მიღებულ ჰიბრიდულ ჟრთი თავთავის მარცვლების მასის მიხედვით თაობებში მიიღება საგრძნობლად მაღალი ხარისხის ტრანგრესია, და ამ მაჩვენებლის მიხედვით ჰიბრიდული კომბინაციები მკვეთრად განსხვავდებიან. გამოითიშა ფორმები, რომლებსაც ორივე მშობელ ფორმაზე მაღალი მაჩვენებელი ქონდათ, ასეთი ფორმები ძირითადად ხორბალ დიკას ტიპის იყო. შუალედური ტიპის მცენარეები უახლოვდებიან შეჯვარებაში მონაწილე ამ ნიშნით მაღალი მაჩვენებლის მქონე მშობელ ფორმას.

დასკვნა: ხორბალ გეორგიკუმის დიკასთან შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდების ერთი თავთავის მარცვლის მასის შესწავლით დადგინდა, რომ ამ სახეობების შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული მცენარეები ჰირველ თაობაში ერთი თავთავის მარცვლის მასის მაჩვენებლით საგრძნობლად ჩამორჩება შეჯვარებაში მონაწილე მშობელი ფორმების მაჩვენებლებს.

მეორე თაობაში ადგილი აქვს ტრანსგრესიის მოვლენას, რის გამოც მიიღება ტრანსგრესიული ფორმები ერთი თავთავის მარცვლის მასის გადიდების ან შემცირების მიმართულებით, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხორბლის სახეობათაშორისი შეჯვარების დროს ხორბალ გეორგიკუმის გამოყენებას აქვს პრაქტიკული ღირებულება.

Inheritance of Weight of Grain in the Main Ear in Hybrids of F₁ –F₂ Generations at Crossing of Wheat Georgicum with Dika Wheat

Abstract (Internet Version)

**N. Merabishvili,
L. Baidauri,
M. Merabishvili**

Experiments was spent in the territory of Mukhrani educational base and Asureti variety testing station. The restricted-free method of pollination was applied.

Hybrids of F₁ generations received as a result of inter specific crossing on mass of grains in a main ear lag behind the initial forms.

This indicator is low enough when wheat Georgicum is used as a mother form. According grain mass takes place depression.

In ears of plants of the first generation are develop incomplete grains. Better completed grain is received at back – crossings.

In the second generation took place a segregation in the direction of increasing in mass of grains of the main ear (positive transgression) or it's decrease (negative transgression). Among forms with positive transgression by the highest combinational ability differed the combinations in which have been used as father forms- varieties of wheat Georgicum, and mother forms with Dika wheat.

3. კვების მრავალობა

Food Industry

**გარემო პირობებისა და მოვლა-მოყვანის
მეთოდების გავლენა ეთერზეთოვანი
მცხაობების ქიმიურ-ტექნოლოგიურ
თვისებებზე**

6. ბაღათურია

ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, აკადემიკოსი,

6. ბეგიაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი,

ლ. კოტორაშვილი

აკადემიური დოქტორი,

მ. ორმოცაძე

აკადემიური დოქტორი

რეზერატი (ინტერნეტული ვერსია)

მცხარეები მუდმივად იმყოფებიან სხვადასხვა გარემო ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ. გარემო ფაქტორების ზემოქმედებაზე ორგანიზმის რეაქციის შესწავლა წარმოადგენს ინტერესს როგორც სამცნიერო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რამდენადაც ეს რეაქცია გამოხატულებას პოულობს დასამუშავებელი კულტურის მოსავლის რაოდენობასა და სარისხე.

თანამედროვე აგრონომიულ ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა გარემოს პირობების გავლენის შესწავლას ეთერზეთოვანი მცხარეების ნაყოფიერებაზე. თუმცა, მათ კვლევებში მცნიერები შემოიფარგლებიან ნედლეულის მწვანე მასის მოსავლის შესწავლით ერთეული ნათესი ფართობიდან. ამასთან მიღებული ეთეროვანი ზეთების შემადგენლობა და თვისებები არ არის შესწავლილი. თუმცა, თეორიისა და პრაქტიკისთვის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს სწორედ მიზნობრივი პროდუქტის – ეთეროვანი ზეთის თვისობრივი მაჩვენებლები, რომლის გამოც ხდება ამა თუ იმ მცხარის მოყვანა.

კავკასიის შავიზლვისპირეთში კულტივირებული ეთერზეთოვნი მცენარეების უმრავლესობა საზღვარგარეთიდანაა შემოტანილი. ინტროდუქციის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მცენარე ახალ პირობებში კარგად ვითარდება, მაგრამ ის ან საერთოდ არ წარმოქმნის იმ ნივთიერებას, რომლის გამოც ხდება მისი მოყვანა ან წარმოქმნის მას ძალიან მცირე რაოდენობით. მაგალითად, კავკასიის შავიზლისპირეთის პირობებში ქინაქინის ხე კარგად იზრდება, როგორც ღია ასევე დახურულ გრუნტზე, მაგრამ არ წარმოქმნის ქინაქინას. კავკასიის პირობებში კავკასიური იფნურა წარმოქმნის ეთეროვან ზეთს, რომელიც იწვევს დამწვრობას და წყლულს კანზე; მოსკოვთან გაშენებული მოცემული მცენარის ეთეროვანი ზეთი კი ასეთ შედეგებს არ იძლევა.

სლ.ივანოვი, „მცენარეებში ორგანული ნივთიერებების წარმოქმნის კლიმატური თეორიის“ შემქმნელი თავის ნაშრომში „დედამიწის კლიმატი და მცენარეების ქიმიური მოქმედება“ - მცენარეებში ნივთიერებების ცვლილების უამრავ მაგალითს იძლევა.

წარმოების მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაგალითად, გერანის (ნემსიწვერა) ზეთის პარფუმერულ ფრაქციებად გადამუშავებისას მიზნობრივი პროდუქტის გამოსავალი და მათი ხარისხი ფართო ზღვრებში ვარირებს ნედლეულის მოყვანის ადგილმდებარებისაგან დამოკიდებულებით. მასტან დაკავშირებით ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მიღებული ეთეროვანი ზეთების შედარებითი კვლევები. საქართველო, მცირე ფართობის მიუხედავად, კლიმატური პირობების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ კლიმატის თითქმის ყველა ტიპს შეხვდებით: ნოტიო სუბტროპიკულიდან კონტინენტალურ ცივ კლიმატამდე.

ეთერზეთოვანი მცენარეები ძირითადად კულტივირებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. კოლხეთის დაბლობი (დასავლეთ საქართველო) ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით, რომელსაც გააჩნია უნიკალური თვისებები: თბილი ზამთარი და ტემპერატურის მცირე წლიური ამპლიტუდა, დიდი რაოდენობით ატმოსფერული ნალექი. აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი დასავლეთ საქართველოს კლიმატისგან უფრო ცივი ზამთრით, მეტი წლიური ტემპერატურის ამპლიტუდით გამოირჩევა და უფრო უახლოვდება კონტინენტალურ კლიმატს. როგორც აღმოსავლეთ ასევე დასავლეთ საქართველოში ხდება გერანისა და ბაზილიკის (რეჰანის) კულტივირება. აღნიშნული

რაიონების კლიმატური პირობები არსებით გავლენას ახდენს ამ ცენტრულების ეთეროვანი ზეთების შემადგენლობაზე.

ევგენოლის რეჟანის ეთეროვანი ზეთი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ევგენოლური რეჟანის ეთეროვანი ზეთი, რომელსაც საქართველოში სამრეწველო მიზნით ღებულობენ აქ კულტივირებული რეჟანის „საიუბილეო“ ჯიშიდან.



ზეთში ევგენოლის შემცველობა დამოკიდებულია რეჟანის მოყვანის ადგილზე. აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ხასიათდება მშრალი კონტინენტური კლიმატით, ეთეროვან ზეთში გროვდება რამდენადმე უფრო მეტი ევგენოლი, ვიდრე შავიზღვისპირეთის ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში მოყვანილ ზეთში.

ერთი და იგივე ეთერზეთების ქარხნის მონაცემებით, რომლებიც აწარმოებენ რეჟანის ეთეროვან ზეთებს, ევგენოლის რაოდენობრივი შემცველობა ზეთში ასევე მერყეობს მნიშვნელოვან ფარგლებში სხვადასხვა წლების მიხედვით. ასე, მაგალითად, ბაბუშერას ეთერზეთების ქარხნაში წარმოებულ ზეთში ევგენოლის შემცველობა მერყეობს ზღვრებში 62,3-79,0%, ყვარელის ქარხნაში-68,0-77,6%. აღნიშნული მონაცემები მოწმობს იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც ასრულებს გარემოს პირობები რეჟანის ეთეროვანი ზეთის ხარისხის ფორმირებაზე.

კლიმატური ფაქტორი გავლენას ახდენს აგრეთვე მსუბუქი და მძიმე ზეთების რაოდენობაზეც, რომლებიც მიიღება ნედლეულიდან ზეთის ორთქლით გამოხდისას. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მსუბუქი ზეთის გამოსავალი შეადგენს საერთო ზეთის 30-64%, ხოლო დასავლეთ საქართველოში- 34- 84%.

ევგენოლური რეპარის ჯიში	ფრაქციის დასახელე ბა	ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებელი		
		გარდა- ტეხის მაჩვე- ნებელი n_D^{20}	სიმკრი 30; d_D^{20}	ევგენოლის მოცულობი- თი წილი, %
საიუბილეო	მსუბუქი მძიმე	1,5193 1,530	0,9504 1,012	45,8 86
კელასური-1	მსუბუქი მძიმე	1,5160 1,5375	0,9428 1,0342	46 93
კელასური-2	მსუბუქი მძიმე	1,5188 1,5350	0,9752 1,035	53 86
ევგენოლური რეპარის ხარისხის მაჩვენებები სახ. სტანდარტის 9360- 60 მიზედვით	მსუბუქი ზეთი მძიმე ზეთი	1,514 1,526 1,529 1,536	0,9588 0,9852 1,030 1,050	არანაკლებ 52 არანაკლებ 82

მცენარის განვითარების ცალკეულ სტადიაზე ევგენოლური რეპარის ეთეროვანი ზეთის შემაღებელობის აირქომატოგრაფიულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ რეპარი ეთერზეთოვანი მცენარეების იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელთა ონტოგნეზში ზეთის თვისობრივი შემაღებელობა არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ზეთების შედგენილობაში ძირითადი ცვლილებები შეინიშნება წყალში სინადი და წყალში უსინადი კომპონენტების შემცველობაში. კერძოდ, მძიმე ეთერზეთის გამოსავალი იზრდება წყალში სინადი კომპონენტის ევგენოლის შემცველობის ზრდასთან ერთად. და პირიქით, ნედლეულში ევგენოლის შემცველობის შემცირებისას იზრდება დეკანტირებული (მსუბუქი) ზეთის გამოსავალი.



ნახ. 1. რეჰანი „კელასური 2“ (ა) და „საიუბილეოს
(ბ) ეთერზეთების ქრომატოგრამები.
4. S-ოციმენი; 8. ილანგენი; 11. S-კარიოფილენი;
12-13. გერმაკრენი- ; 16. ევგენოლი.

გერანის ეთეროვანი ზეთი.

ცხრილში 2 მოცემულია საქართველოში კულტივირებული გერანის (ნემსიწვერას) ეთეროვანი ზეთის აირქომატოგრაფიული კვლევის შედეგები. გერანის ზეთის ნიმუშებში ცალკეული კომპონენტის შემცევლობა განისაზღვრა შიდა ნორმალიზაციის მეთოდით. ანალიზში გვიჩვენა, რომ გერანის ზეთში ტერპენული სპირტების ჯამური რაოდენობა და ციტრონელოლსა და გერანიოლს შორის თანაფარდობა ვარირებს ფართო ფარგლებში.

სხვადასხვა სახეობის გერანის ეთეროვანი ზეთები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება შემადგენლობის მიხედვით. ასე, მაგალითად, ვარდისებური გერანის ეთეროვანი ზეთი, რომელიც ძირითადი სამრეწველო ჯიშია საქართველოში, გაცილებით უფრო ნაკლებ ტერპენულ სპირტებს შეიცავს №7 ჰიბრიდის ზეთთან შედარებით.

გერანის ზეთში ტერპენული სპირტების შემცველობა, %

ცხრილი 2

მცენარის მოყვანის ადგილი	მოსავლი ს აღების დრო, წელი	ვარდისებური გერანი			ჰიბრიდი №7		
		ციტრო- ნელო- ლი	გერან- იოლი	როდი- ოლი	ციტრო- ნელო- ლი	გერან- იოლი	როდი- ოლი
აღმოსავლეთ საქართველო							
ყვარელი	I	49,3	10,0	59,3	62,4	20,0	82,4
	II	45,9	9,9	55,8	63,0	17,1	80,1
ლაგოდები	I	46,0	10,0	56,0	64,0	15,3	79,3
	II	48,1	8,1	56,2	68,2	13,3	81,5
დასავლეთ საქართველო							
გალი	I	35,2	18,0	53,2	59,3	20,1	79,4
	II	38,1	14,1	56,2	52,2	23,3	75,5
დრანდა	I	41,8	16,3	53,1	59,7	19,1	78,8
	II	38,0	13,1	51,1	57,0	15,8	72,0

სახეობათშორისი განსხვავებები აღინიშნა გერანის ეთეროვან ზეთში ციტრონელოლისა და გერანიოლის შემცველობის მხრივ. ასე, მაგალითად, ვარდისებური გერანის ეთეროვან ზეთში 35–49% ციტრონელოლი და 13–18% გერანიოლი დაფიქსირდა (დასავლეთ საქართველოს რაონებში), გერანის №7 ჰიბრიდის ეთეროვანი ზეთი კი შეიცავდა 52–60% ციტრონელოლსა და 16–23% გერანიოლს.

საქართველო, მცირე ფართობის მიუხედავად, კლიმატური პირობების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც აისახება

გერანის ზეთის შემადგენლობაზე (ტერპენული სპირტების შემცველობა, მასში ციტრონელოლსა და გერანიოლს შორის თანაფარლობა).

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გაზრდილი ვარდისებური გერანის ეთეროვან ზეთში საშუალოდ 57% ტერპენული სპირტია. იგივე სახეობა დასავეთ საქართველოს რაიონებში საშუალოდ 52% სპირტის შემცველობის ეთეროვან ზეთს აგროვებს. ამასთან, დასავლეთ რაიონებში ეთეროვანი ზეთის სპირტი 72% ციტრონელოლისა და 28% გერანიოლისგან შედგება, აღმოსავლეთ რაიონებში კი – 77% ციტრონელოლისა და 23% გერანიოლისგან.

ამრიგად, გარემოს პირობების გავლენით ზეთში ტერპენული სპირტების რაოდენობის შეცირებას თან ახლავს მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე კომპონენტის – გერანიოლის რაოდენობის ზრდა.

გეოგრაფიული ფაქტორი ასევე დიდ გავლენას ახდენს გერანის ჰიბრიდის №7 ეთეროვანი ზეთის შედგენლობაზეც.

ამგვარად, გამოკვლეული იქნა გარემო პირობებისა და მოვლა-მოყვანის მეთოდების გავლენა ეთერზეთოვანი მცენარეების (ევგენოლური რეპანი, გერანი) ქიმიურ-ტექნოლოგიურ თვისებებზე.

დადგენილი იქნა, რომ კვეკასიის შავიზღვისპირულში ინტროდუცირებული სუბტროპიკული მცენარეების ეთეროვანი ზეთის სინთეზი მკაცრი გენეტიკური კონტროლის ქვეშ იმყოფება და არ იცვლება აღნიშნული მცენარეების ზრდა-განვითარების ადგილმდებარეობისაგან დამოკიდებულებით. ზეთში ცვლილებებს განიცდის მხოლოდ ერთსახელა კომპნენტების რაოდენობრივი შემცველობები, რომელთა ხარისხი და ხასიათი დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე. გერანის ეთეროვან ზეთში ყველაზე მეტი ცვლილებები დაფიქსირდა ტერპენული სპირტების შემადგენლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Н. Багатурия – Эфирные масла лекарственных и пряно-ароматических растений – Тбилиси, 2007 г.
2. Гудвин Т., Мерсон Э. – Введение в биохимию растений – М. изд-во «Мир». 1986.
3. Кустова С. Д. - Справочник по эфирным маслам – М. изд-во "Пищевая промышленность". 1978.

**INFLUENCE OF THE CARE-GROW METHODS AND
ENVIRONMENTAL CONDITIONS ON THE CHEMICAL-
TECHNOLOGICAL FEATURES OF THE ESSENTIAL
OILED PLANTS**

N. Baghaturia

Doctor of scientific
technics, Academician,

N. Begiashvili

Doctor of scientific technics

L. Kotorashvili

Academic doctor of scientific

M. Ormotcadze

Academic doctor of scientific

Abstract
(Internet version)

There is researched the influence of the care-grow methods and environmental conditions on the chemical-technological features of the essential oiled plants.

There is established that the synthesis of the essential oil in the subtropical plants introduced in the black sea regions of Georgia is under the strict genetic control. In the oil there are changed only the amount compounds of the same named components, quality and feature of which is defended of the type of the plant.

**ფაქტობრივი პვების შესტავლა მოზარდთა
ორგანიზაციულ კონტინგენტი**

გ. გრიგორაშვილი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
ა. ხოტივარი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

**რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)**

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, მოზარდთა კვების მდგომარეობის შესწავლა მეტად აქტუალურია.

ჩვენ მიზად დავისახეთ შეგვესწავლა კვების რეჟიმი მოზარდთა ორგანიზებულ კოლექტივში მენიუ-განაწილების მიხედვით, უაქტობრივი კვების რაციონების შეფასებით.

აკლევაში ჩართული იყო 72 მოზარდი 17 წლამდე. მირტული შედეგები შედარებული იქნა მოზარდების ძირითად ნივთიერებებზე და ენერგიაზე მოთხოვნილების ფიზიოლოგიურ ნორმებთან.

საკვები რაციონების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების შედეგად გამოვლინდა, რიგი საკვები ნივთიერებების და მიკროელემნტების არადაბალანსებული შემცველობა, რამაც შეძლება მოზარდების ზრდა-განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

მოზარდთა კონტიგენტის ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. მოზარდის ასაკი განვითარების სწრაფი ცვლილებით ხასიათდება. განვითარების ამ ეტაპზე სრულყოფილი საკვები რაციონი მნიშვნელოვნად განაპირობებს მოზარდთა ჯანმრთელობის მდგიმარეობას. იგი მოქმედებს ზრდასა და ფიზიკურ განვითარებაზე, შრომისუნარიანობაზე, ორგანიზმის აღაპტაციურ შესაძლებლობებზე [1]. კვება ნორმალურად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც საკვები დაბალანსებულია სხვადასხვა საკვების ნივთიერებების შემადგენლობის მხრივ და უზრუნველყოფს მოზარდის ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებას, შესაძლებელს ხდის ორგანიზმის ფუნქციების ნორმალურ მიმდინარეობას [3]. საკვების ენერგეტიკული ღირებულება დაბალანსებული უნდა იყოს ორგანიზმის შესაბამის ენერგოდანახარჯებთან მიმართებაში [2]. არასაკმარისი კალორიულობა მოზარდებში იწვევს ზრდისა და განვითარების ყველა პროცესის დარღვევას, მაგალითად ცილის უქმა-

რისობა, მისი შემცირება რაციონში 3%-მდე სიმაღლეში ზრდის სრულ შეჩერებას, ძვლის ქიმიური შემადგელობის შეცვლას იწვევს. ცხიმის უკმარისობისას გამოსახული დარღვევები აღინიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ, როგორიზმის იმუნოლოგიური და დაცვითი მექანიზმების შესუსტება. ნახშირწყლებს, შედიან რა უჯრედის შემადგენლობაში, გარდა პლასტიკურისა, დიდი ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვთ.

რაც შეეხება ვიტამინებსა და მიკროელემენტებს, ისინი კვების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიკროელემენტები, როგორიცაა თუთია, რკნა, იოდი, რომელთა შემცველობა საკვებში მცირეა და შესაბამისად თუთიადეფუიციტური, რკნიადეფუიციტური და იოდეფუიციტური მდგომარეობის დროული გამოვლენა მოზარდებში განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს, რათა მოხდეს შემდგომში მათი პრევენცია და პროფილქტიკა [7].

მოზარდთა კვების სტატუსის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ კვლევა ბაგშვია ორგანიზებულ კოლექტივში (მოზარდთა საღმმარდელო დაწესებულება), მენიუ-განწილვების მიხედვით, ფაქტობრივი კვებისა და რაციონების შეფასებით [8].

კვლევის შედეგებმა სამუალება მოგვცა დაგვედგინა ფორტიფიცირებული პროდუქტის გამოყენების მიზანშეწონილობა დაკვირვების კონტიგენტში [9].

სადღედამისო რაციონები შევაფასეთ სამუშაო ცხრილების შედეგენის გზით, პროდუქტების ჩამონათვალის მიხედვით, რომლებიც შედიოდა სადღედამისო რაციონში, მათი ერთ ადამიანზე მასის მითითებით (4, 5). შემდეგ თითოეულ პროდუქტში გამოვიანგარიშეთ ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები შესაბამისი ცხრილების გამოყენებით [6]. გაანგარიშებას ვაწარმოებდით სამი ასაკობრივი ჯგუფისათვის, 7-10 წელი (27 ბავშვი), 11-13 წელი (22 გოგონა და 14 ვაჟი); 14-17 წელი (6 ქალიშვილი და 3 ჭაბუკი). ამასთან, ამ უკანასკნელ ორ ჯგუფში კვების შეფასებას ვაწარმოებდით სქესის გათვალისწინებით. მირებული მონაცემები შევადარეთ მოზარდების და ბაგშვების ძირითად საკვებ ნივთიერებებზე და ენერგიაზე მოთხოვნილების ფიზიოლოგიურ ნორმებს [10, 11]. მონაცემები დავამუშავეთ და გავაანალიზეთ კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე, რომელსაც საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა რაციონების შემადგენლობის რაოდენობირივი და თვისებრივი გაანგარიშება, ასევე შეგვეფასებინა კვების რეჟიმი.

კვების რაციონების გამოკვლევით დადგინდა, მათი ენერგეტიკული ღიდებულება, რომელიც საშუალოდ დღე-ღამეში 2856.0 კალორიას შეადგენდა. მიღებული შედევი ფიზიოლოგიური მოთხოვნის შესაბამისად ასაკობრივი ჯგუფისა 110, 98 და 92%-ს შეადგენს. მოზარდთა რაციონებში ცილის შემცველობა 84 გრამს უტოლდებოდა, რაც ნორმის 87-110%-ს შეადგენს. ამასთან, აღინიშნებოდა ბიოლოგიურად სრულფასოვანი ცხოველური წარმოშობის ცილების ნაკლებობა (სადღეომისო ნორმის 52-66%). ცხიმების რაოდენობა ნორმაზე ნაკლები იყო-63გ (შესაბამისად ნორმის 63-80%), ხოლო ნახშირწყლების რაოდენობა ნორმას აღემატებოდა-485გ (121-154%).

კვების მითითებული თავისებურებები რაციონებში ძირითადი საკვები ნივთიერებების დისპალანსს განაპირობებდნენ, ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების შეფარდება საშუალოდ შეადგენდა 1:0,72:5,6 ნაცვლად რეკომენდებულია 1:1:4-თან (ცხრილი 1).

რაციონებში კალციუმისა და ფოსფორის შემცველობა 7-10 წლის ბავშვებში საშუალოდ რეკომენდებული ნორმის 87-108%-ს შეადგენდა, ხოლო 11-17 წლის ასაკის მოზარდებში 84-104%-ს. კალციუმისა და ფოსფორის შეფარდება შეადგენდა 1:1:85-ს, ნაცვლად ოპტიმალურისა 1:1,5-თან (ცხრილი 2).

რაციონებში მიკროელემნტური შემადგენლობა დაუბალანსებელია. იოდის ნაკლებობა აღინიშნებოდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში (ფიზიოლოგიური ნორმის 55-66%), რკინის უქმარისობა (ნორმის 77%), თუთიის უქმარისობა: 11-13წლის ასაკის ბიჭებში 54-65%; 11-13 წლის გოგონებში – 59-73%; 14-17 წლის ბავშვებში – 59%, სპილენძის რაოდენობა რაციონებში ფიზიოლოგიური მოტხოვნილების ფარგლებში იყო.

რაციონებში ვიტამინების შემცველობა რეკომენდებული სიდიდეებისაგან ასევე განსხვავდებოდა. გამოვლინდა A-ვიტამინის უქმარისობა (ფიზიოლოგიური ნორმს 47%), B₁ და B₂ ვიტამინების რაოდენობა რამდენადმე მაღალი იყო და სადღეომისო ნორმის 112-136 და 106-109% შეადგენდა. B₆ ვიტამინის და C ვიტამინის რაოდენობა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ფარგლებში იყო (ცხრილი 2)

მოზარდთა სადღედამისო რაციონში საკვები ნივთიერებების
შემცველობა და ქნერგეტიკული ღირებულება (დღე-ღამეში)

ცხრილი 1

ინგრ ენიენ ტი	ასაფი, წელი									
	7-10		11-13 (ბიჭები)		11-13 (გოგონები)		14-17 (ჰაბუკები)		14-17 (ქალიშვილები)	
	ნორმა	ფაქ- ტო- ბრივი	ნორმა	ფაქ- ტო- ბრი- ვი	ნორ- მა	ფაქ- ტო- ბრი- ვი	ნორმა	ფაქ- ტო- ბრი- ვი	ნორმა	ფაქ- ტო- ბრი- ვი
ქალო რიუ ლიო- ბა (ქა ლ)	2300	2856	2700	2856	2450	2856	2900	2856	2600	2856
ცოლე ბი(გ)	79	87	93	87	85	87	100	87	90	87
ცხოვ ელუ რი ცი- ლები (გ)	47	31	56	31	51	31	60	31	54	31
ცხიმ ები (გ)	79	63	93	63	85	63	100	63	90	63
ნაბამი რწყ ლე ბი(გ)	315	485	315	485	340	485	400	485	360	485
მცენა რეუ ლი ცხიმ ები (გ)	16	13	19	13	17	13	20	13	18	13

მოზარდთა სადლელამისო რაციონებში ვიტამინების და მინერალური
ნივთიერებების შემცველობა

(ცხრილი 2)

ინგრედიენტი	ასაკი, წელი									
	7-10		11-13 (ბიჭები)		11-13 (გოგონები)		14-17 (ჭაბუქები)		14-17 (ქალიშვილები)	
	ნორ მა	ფაქ ტო- ბრი- ვი	ნორ მა	ფაქ ტო- ბრი- ვი	ნორ მა	ფაქ ტო- ბრი- ვი	ნორ მა	ფაქ ტო- ბრი- ვი	ნორ მა	ფაქ ტო- ბრი- ვი
ვიტამ. მე										
ვიტამინი A	1,5	0,7	1,5	0,7	1,5	0,7	1,5	0,7	1,5	0,7
ვიტამინი B ₁	1,4	1,9	1,6	1,9	1,5	1,9	1,7	1,9	1,6	1,9
ვიტამინი B ₂	1,6	1,9	1,8	1,9	1,7	1,9	2,0	1,9	1,8	1,9
ვიტამინი B ₆	1,6	1,9	1,9	1,9	1,7	1,9	2,0	1,9	1,8	1,9
ვიტამინი C	6,0	71	70	71	60	71	75	71	65	71
ვიტამინი PP	1,5	16	18	16	16	16	19	16	17	16
მინერალ-ნივთ. მე										
კალციუმი	1100	960	1200	960	1100	960	1200	960	1100	960
ფოსფორი	1650	1780	1800	1760	1650	1780	1800	1780	1650	1780
ოოდი	0,1 6	0,06 6	0,12 6	0,06 6	0,12 6	0,06 6	0,12 6	0,06 6	0,12 6	0,066
სპილენბი	2,0	2,0	2,0	2,1	2,0	2,1	2,0	2,1	2,0	2,1
რკინა	18,0	13,9	18,0	13,9	18,0	13,9	18,0	13,9	18,0	13,9
თუთა	8,0	5,9	9-11	5,9	8010	5,9	12-14	5,9	10-12	5,9

მოზარდების ორგანიზებული კონტიგენტი სამჯერადად იქვე-ბებოდა: საუზმე, სადილი და ვახშამი. საუზმის ენერგეტიკული ღირებულება საშუალოდ 602 კკალორიას, სადლელამისო კალორიულობის 21%-ს, ნაცვლად რეკომენდებულის 25%-ისა, სადილის კალორიულობა – 1150 კკალორიას (41%) ნაცვლად ნორმირებული 45%-ისა, ვახშამის 1096 კკალორიას (35%) ნაცვლად 30%-ისა.

რაციონებში ძარითადი საკვები ნივთიერებების არადაბალანსებული შემცველობა, ცხოველური წარმოშობის ცილგბის, მიკროლემნტების (იოდის, რკინის, თუთიის) უკმარისობა მოზარდებში იოდდეფიციტური დაავადებების, რკინადეფიციტური ანემიის და თუთიის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებების განვითარების წინაპირობას წარმოადგენს [2, 4, 8]. მოზარდი ორგანიზმის ზრდაგანვითარების პროცესის ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გამოვლინებული არახელსაყრელი ძღვომარეობის გამოსწორება, კერძოდ საკვები ინგრედიენტებით მოზარდასრულყოფილი უზრუნველყოფა ასაკის, სქესისა და ფიზიკური დატვირთვის მიხედვით.

გამოყენებული ლიეტერატურა

1. ო. შალამბერიძე, ი. შენგელია-ბაგშვთა და მოზარდთა ჰიგიენა. 1982, გვ. 267-293.
2. საკვებ ნივთიერებებზე დე ებერგაიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების და საარსებო მნიშვნელის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმები და ნორმატივები. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, №45, 2003.
3. კვანძუნაძე რ., წიკლაური რ., ბარამაძე ლ., დვალი გ. – ჯანსაღი კვება ჯანმრთელობის მთავარი გასაღები. თბილისი, 2005, 50 გვ.
4. . . . , 2005.
5. . . . , 2008 .

6. , 2005.
7. , 1987, .1, 500 . . . Georgian Medical News, 2004, №1(106), c. 94-98.
8. , 2002, 5, . 7-10.
9. , 2002, 4, . 39-45.
10. , 1991, 2, . 6-15.
11. , 1994, 123 .

Study of factual nutrition in adolescents organized contingent

G. Grigorashvili
Ph. D. Biological doctor
A. Khotivari
MS Academical doctor

Abstract (Internet Version)

Monitoring of the nutrition of adolescents in the present none stable economic condition is absolutely necessary. We have studied the ration of the nutrition of the adolescents and conducted its analysis. The research was conducted in the boarding house among the adolescents (between the ages 11 and) in which 72 adolescents participated. The results are compared to the norms of physiological requirements of the adolescents taking into account the major substances and energy.

The research on the quality and quality of the ration displayed the disbalance of certain substances and microelements (zinc, iron, iodine), which may have negative affect on the growth and development of the adolescents.

**ახალი სახეობის პროცესის აქტიკური
პროდუქტი თუთიის
დეფიციტის პორეზირებისათვის**

გ. გრიგორაშვილი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ა. ხოტივარი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

**რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)**

შემუშავებულია შავი ბაინის ჩაის ცინკის სულფატით გამდიდრების ტექნოლოგიური მეთოდი. ნაჩვენებია, რომ გამდიდრების შედეგად არ იცვლება ორგანოლექტიკური მაჩვენებლები. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით შემუშავებული პროდუქტი კვების პროდუქტებისადმი წაყენებულ ყველა მო- თხოვნილებას აკმაყოფილებს. ჩაის ნაყენში თუთიის შემცველობა 5,4 მგ-ს შეადგინს, რაც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მოზარდის ორგანიზმის სადღელამისო მოთხოვნილება ამ ელემენტზე მისი ორჯერადი მოხმარებისას.

მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მონაცე- მებით, განვითარებად ქვეწებში მოზარდთა თითქმის 30% განიცდის მიკროელემნტი თუთიის დეფიციტი (1). თუთიის დეფიციტი, პირვე- ლყოვლისა, დაკავშირებულია ყოველდღიურ რაციონში საკები ნი- ვთიერებების ნაკლებობასთან, არარაციონალურ კვებასთან (2).

ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვების ყოველდღიურ რაციონში თუთიის დამატება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოზარდთა ზრდა-განვითარებას.

საქართველოში სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2014 წელს სასურსათო პროგრამის ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მოსახლეობის კვების რაციონს ძირითადად შეადგინს მცენარეული (პური, მარცვლეული, ბოს- ტნეული) და ნაკლებად ცხოველური წარმოშობის (ხორცი, თევზი) პროდუქტები. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის კვება არარაცი- ონალურია, რადგან მიღებული კალორიების თითქმის ნახევარი პურ- პროდუქტზე მოდის. ბოლო წლებში სასურსათო მდგომარეობა არ გაუმჯობესდებულა. საკებებში ხორცის მოხმარება შეოლოდ 2%-ს შეა- დგენს, ხორცი კი, როგორც ცნობილია, თუთიის ერთ-ერთი ძირი- თადი წყაროა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის განსაკუთრებით მოზარდი კონტიგენტი ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტის–თუთის დეფიციტს განიცდის (4).

მოსახლეობაში მიკროელემენტების დეფიციტი გამოწვეულია არა მარტო არადაბალანსებული კვებით, არამედ მცენარეულ პროდუქტებში ამ მიკროელემენტების მცირე შემცველობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკვები პროდუქტების მიკროელემენტებით, კერძოდ თუთით გამდიდრება ანუ ფორტიფიცირება, სადღეისოდ მეტად აქტუალურია (5).

არსებობს მიკროელემენტების დეფიციტის კორექციის ორი ალიარებული მეთოდი: მედიკამენტოზური და ფიზიოლოგიური. თუთის დეფიციტის დროს უფრო მისაღები ფორმაა ფიზიოლოგიური, ანუ თუთითგამდიდრებული პროდუქტის გამოყენება.

ლიტერატურიდან ცნობდია, რომ თუთის დეფიციტის კორეგირებისათვის ფართოდ მიმართავენ ხილის წვენების და პურის თუთით გამდიდრებას (1).

სადღესიც, ჩვენი მოსახლეობისათვის, თუთის დეფიციტის კორეგირებისათვის უფრო მიზანშეწონილია ისეთი ტრადიციული და ხელმისაწვდომი პროდუქტი, როგორიცაა ქართული ჩაი. მას ის უპირატესობა აქვს, რომ სხვა პროდუქტებთან შედარებით წარმოადგენს ამ კონტიგენტისათვის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიზანს თუთით გამდიდრებული ჩაის, როგორც პროფილაქტიკური პროდუქტის შემუშავება შეადგენდა.

გამოკვლევებში გამოყენებული იყო 2014 წლის მოსავლის ჩაის მწვანე ფოთოლი, რომლის შემდგომი დამუშავებით ჩაის ფაბრიკაში დამზადებული იქნა შავი ბაინის ჩაი. მზა პროდუქტის თუთით გამდიდრებას ვაწარმოებდით თუთის სულფატით ჩაის ფაბრიკაში ნახევრად საწარმოო პირობებში, ჩაის შესველების და შემდგომი გაშრობის გზით.

საერთოდ მიღებული მეთოდებით განვსაზღვრეთ თუთით გამდიდრებული ჩაის ორგანოლექტიკური თვისებები (არომატი, გემო, გარეგანი იერი) და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები (ტენიანობა, ექსტრაქტული ნივთიერებები, საერთო ნაცარი, ნედლი უჯრედანა) (6).

თუთის შემცველობა ჩაის და მისგან დამზადებულ ნაყენში განვსაზღვრეთ ატომურ-აბსორციული მეთოდით (7). გარდა ამისა, განისაზღვრა პესტიციდების ნარჩენი რაოდენობა და ტოქსიკური ელემენტების შემცველობა (8).

თუთით ფორტიფიცირებული ჩაის დაფასოებას ვაწარმოებდით რბილ ან ნახევრად მაგარ კოლოფებში 100გ ნეტო-მასით.

საწარმოო პირობებში ჩვენ მიერ შემუშავებული თუთით ფორტიფიცირებული ჩაი ზასიათდება შემდეგი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (ცხრილი 1).

თუთით ფორტიფიცირებული ჩაის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები ცხრილი 1

მაჩვენებლის დასახელება	უძალლესი ხარისხის შავი ბაიხაოს ჩაი
არომატი და გემო	ნაზი არომატი, სასიამოვნო სიმწლარტის გემოთი
ნაყენი	ზასხასა, გამჭვირვალე, „საშუალო”
გამოსახარში ფოტლების ფერი	მიწითაღო-ძოფუსზორო, ერთგვაროვნი
ჩაის გარეგანი იერი	თანაბარი, ერთგვაროვნი, კარგად დაგრესილი

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს მიერ დამზადებული თუთით გამდიდრებული ჩაის ორგანოლეპტიკური თვისებებით არ განსხვავდება ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებულუ უძალლესი ხარისხის შავი ბაიხაოს ჩაისაგან.

შემუშავებული პროდუქტის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცრილში 2.

თუთით ფორტიფიცირებული ჩაის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები ცხრილი 2

მაჩვენებლის დასახელება	შემცველობა
ტენიანია, %	8,0
წყალში სინად ექსტრაქტული ნივთიერებები, %	35,0
საერთო ნაცარი, %	6,0
ნედლი უჯრედნა	4,5
თვითის შემცველობა მზა პროდუქტში (2გ) მგ	21,6
თვითის შემცველობა ჩაის ნაყენში (2გ ჩაი 200მლ წყალში), მგ	5,4
ტოქსიკური ელემენტები, მგ/კგ	
ტყვია	10,0
კადმიუმი	1,0
დარიშხანი	0,0
კერცლისწყალი	0,0
სპილენბი	100,0

ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემების გაანალიზების შედეგად შეიძლება დაგვსკვნათ, რომ ფორტიფიცირების ტექნოლოგიური მეთოდი არ ცვლის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს. ტო-

ქსიკური ელემენტების შემცველობა, რომელთა დონე რეგლა-მენტირდება (ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, სპილენძი), შეესაბამება ჰიგიენურ ნორმატივებს, ამ ნვთიერებების დასაშვებ შემცველობას საკვებ პროდუქტებში. პესტიციდების ნარჩენი რაოდენობა ჩაიში შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტით—სახ.ნ. 2.3.2.000 „ჰიგიენური მოთხოვნები ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და „უსაფრთხოებისადმი““ დადგნილ მაჩვენებლებს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მოზარდთა თუთიაზე ყოველდღიური მოთხოვნილების მიზნით რეკომენდებულია 10-15გ (10). აღნიშნულიდან გამომდინარე, თუთიაზე ყოველდღიური მოთხოვნილების დაკამაყოფილების მიზნით მოზარდებმა ყოველდღიურად, დღეში ორჯერ, დიღით და საღამოს უნდა მიიღონ ზემოთ აღნიშნული წესით დამზადებული ჩაის ერთი ფინჯანი.

მიღებული შედეგები საფუძველს გვაძლევს რეკომენდაცია გავუწიოთ ჩვენს მიერ შემუშავებულ პროდუქტს გამოპყენებული იქნას მოზარდთა ყოველდღიურ კვებაში თუთიის დევიციტის კორექციის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Tharlow R., Winiehagoon P. - Eir. J. Clin. Natr., 60,623-632, 2006.
2. რ. კვანჭახაძე – ნუტრიციოლოგის II ეროვნული კონფერენცია, თბილისი, 2009.
3. Vanderkooy P., Gipson R. - Clin. Natr. 882-888, 1987.
4. გ. დვალი, მ. ჭედია – საქართველოს გარემოს ჰიგიენური ეროვნული პროგრამა. I ეროვნული კონფერენციის მასალები, თბილისი, 2001, გვ. 301-302.
5. Susi Lowati N. Giffin I. – Guidelines on food fortification with micronutrients, Geneva; WHO, 2006, p. 334-336.
6. . . . , 1983, 644 .
7. 30178-96 , , , , , , , , 1996.
8. , .., 1985, 200 .
9. .., .., .., .., 1992, . 35-37.
10. რ კვანჭახაძე – ჯანსაღი კვება – ჯანმრთელობის საფუძველი. თბილისი, 2005.

A new product – prophylaxis and correction of zinc deficiency

G. Grigorashvili
Ph. D. Biological doctor
A. Khotivari
MS Academical doctor

Abstract (Internet Version)

A new technological method for enrichment of black tea with zinc sulfate was elaborated. It has been shown, that organoleptic parameters of the product remain unchanged, following the enrichment. According to its chemical and physical features the product meets all the demands specific for food products. The content of zinc in a tea brew make up 5,4mg which makes it possible to satisfy daily need for this element in children, even at a two-fold use.

პივის ნაყოფის გამოკვლევა ნატურალური ვაშინის დამზადების მიზნით

გულნაზი კაიშაური
ტექნიკის აკადემიური დოქტორი.

რეფერატი. (ინტერნეტული ვერსია)

თემის დამუშავების მიზანს წარმოადგენდა აქტინიდისაგან (კივი) ნატურალური პროდუქტების დამზადების შესაძლებლობის გამოკვლევა.

ნედლეულად შერჩეულ იქნა სამკურნალო თვისებების მქონე სუბტროპიკული ზიღლიაქტინიდია (კივი), რომელიც მომხმარებელთა შორის დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს და მიზნევა ადამიანის დაბალნსებული კვების დიეტურ დანამატად.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი „მონტი“-ს ჯიშის აქტინიდია (კივი) და მისგან დამზადებული პროდუქცია.

კვლევის სტანდარტული მეთოდებით ვიკვლევდით ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრეულ ძირითად მაჩვენებლებს.

შესწავლილია „მონტი“-ს ჯიშის აქტინიდის ტექნოლოგიური მაჩვენებლები, კერძოდ, კივისაგან არსებული ტექნოლოგით ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა ნატურალური წვენი. ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წვენი აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებს. წვენში შენარჩუნებული იყო ნაყოფში შემცველი ნივთიერებები, მათ შორის C ვიტამინიც. (C ვიტამინის შენარჩუნების პროცენტი შეადგენდა 77). ნატურალური წვენიდან არსებული ტექნოლოგიით დამზადდა ნატურალური ვაჟინი.

ვაჟინის ხარისხის განმსაზღვრეული ძირითადი მაჩვენებლების კალევის შედეგად დადგინდა, რომ დამზადებული პროდუქცია იყო მუქი მწვანე ფერის ბლანტი კონსისტენციის მასა, კარგად გამოხატული კივისთვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. ის შეიცავდა 69 % მშრალ ნივთიერებას, 62,9% შაქრებს, 28,2 მგ% ასკორბინის მჟავას. ვაჟინის მჟავიანობა იყო 0,62% ლიმონმჟავაზე გადანგარიშებით. ვაჟინში შენარჩუნებული იყო წვენში შემცველი ასკორბინის მჟავის 63%. კივის ნატურალური ვაჟინი აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებს.

მიღებული მონაცემების საფუძველზე დამუშავდა ნატურალური ვაჟინის დამზადების ტექნოლოგია. ვაჟინის გამოყენება რეკომენდებულია წყალში განზავების შემდეგ.

თანამედროვე პირობებში, კექის პროდუქტების წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებას. მომზმარებელთა უმრავლესობა საკვებ პროდუქტს აფასებს მისი გემოთი და არომატით, ამასთან, დაავადებათა რისკის თავიდან ასაცილებლად ყურადღებას აქცევს იმას, თუ როგორ მოქმედებს პროდუქტი მის ჯანმრთელობაზე.

ამჟამად, საქართველოს ბაზარი გაჯერებულია აღგილობრივი და შემოტანილი პროდუქციით, რომლებიც ძირითადად დამზადებულია ხელოვნური არომატიზატორების გამოყენებით. ამიტომ, დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება ეკოლოგიურად უსაფრთხო, ნატურალური გემოსა და არომატის, მაღალი კვებითი ღირებულების მქონე მცენარეულ პროდუქტებზე. ისინი უზრუნველყოფენ ბიოაქტიური ნაერთების დევიციტის აღმოფხვრას. საწყისი ნედლეულით შეტანილი ეს ნივთიერებები განაპირობებენ პროდუქციის ბიოლოგიურ, ხოლო შაქრები-კვებით ღირებულებას.

პროდუქციის ასორტიმენტის გასაზრდელად, ასევე ახალი გემური თვისებების მქონე პროდუქციის შესაქმნელად და რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი პირვანდელი გემოს შესანარჩუნებლად მთავარია მაღალხარისხიანი ნედლეულისა და ნატურალური საკვებდანამატების გამოყენება, რაც მოახდენს საბოლოო პროდუქტის გემოსა და არომატის სრულყოფას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნედლეულად შევირჩიეთ აქტინიდია, რომელიც სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, ასევე მომზმარებელთა შორის დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კივისაგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი და ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედი ნატურალური პროდუქტების დამზადება. კივი და მისი გადამუშავების პროდუქტები წარმოადგენენ დიეტური კვების ძვირფას პროდუქტებს.

კივის ნაყოფი შეიცავს: შაქრებს, სახამებელს, ორგანულ მჟავებს, ცილებს, პექტინოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტა-მინებსა (C, P, A, B₁, B₂) და მინერალური ნივთიერებებს (Fe, P, Na, K, I და სხვ.). კივის ნაყოფებს ჩინურ მედიცინაში იყენებენ: ჩიყვის, ყივანახველის, სტომატიტის დროს, ასევე როგორც ჭირის გამომდევნ, ტკივილგამაყუჩებელ, სიმსივნის პროფილაქტიკურ და სხვ. საშუალებას [1, 2].

ზემოაღნიშნულის მიუხედავად საქართველოს გადამუშავებელი მრეწველობა მას არ იყენებს.

ლიტერატურიდან ცნობილია ნატურალური ხილკენკროვანთა ვაჟინები, მ.შ. გაშლის, ალუბლის, გარგარისა და სხვ., თუმცა ჩვენ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია კივის ნატურალური ვაჟინის შესახებ.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის საკარმილამო ნაკვეთზე მოყვანილი “მონტი”-ს ჯიშის კივის ნაყოფები და მისგან დამზადებული პროდუქცია.

კვლევის სტანდარტული მეთოდებით ვიკვლევდით ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის განმსაზღვრელ ძირითად მაჩვენებლებს [3–5].

კვლევის შედეგები. შესწავლილ იქნა ”მონტი”-ს ჯიშის კივის ნაყოფების ტექნო-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები. ჯიში შეიცავდა 13% ხსნად შშრალ ნივთიერებას, 8,46% შაქრებს, მ.შ. 5,32% მონოსაქარიდებსა და 3,14% საქართველოს, 57,5 მგ% ასკორბინის მჟავას, მისი საერთო მჟავიანობა იყო 1,54 % ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით [6].

ტექნო-ქიმიური მაჩვენებლების კვლევები კივისგან არ-სებული ტექნოლოგიით ლაბორატორიულ პირობებში დამზადდა ნატურალური წვენი. წვენი იყო ლია მწვანე ფერის მოყვითალო ელფერით, დამახასიათებელი არომატითა და სასიმოვნო მომჟავო-მოტკბი გემოთი. მასში შენარჩუნებული იყო ნაყოფში შემცველი ნივთიერებები (C ვიტამინის შენარჩუნების პროცენტი შეადგენდა 77). წვენი აკმაყოფილებდა ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტის მოთხოვებს [7]. ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევის შემდეგ წვენისგან არსებული ტექნოლოგიით დამზადდა ნატურალური ვაჟინი.

ვაჟინის ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დამზადებული პროდუქცია იყო მუქი მწვანე ბლანტი კონსისტენციის მასა, კარგად გამოხატული კივისთვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. კივის ტექნოლოგიური გამოცდის შედეგები მოყვანილია ცხრილში.

კივის გადამუშავების პროდუქტების ქიმიური შედეგის მიზანი

მაჩვენებელი	წვენი	ვაჟინი
ხსნადი შშრალი ნივთიერება, %	13	69
საერთო შაქრები, %	8,46	62,9
ტიტრული მჟავიანობა, ლიმონმჟავაზე გადაანგარიშებით, %	1,64	0,6
ასკორბინის მჟავა, მგ%	44,7	28,2

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟინში შენარჩუნებული იყო წვენში შემცველი ასკორბინის მუქის 63% კივის გადამუშავების პროდუქტები (ნატურალური წვენი, ვაჟინი) აკმაყოფილებდნენ ანალოგიური სახის პროდუქციაზე მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებს.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენს მიერ დამუშავდა ნატურალური ვაჟინის დამზადების ტექნიკულოგია.

დასკვნა: ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ კივის წვენიდან დამზადებულ ნატურალურ ვაჟინს აქვს მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები. მისი გამოყენება რეკომენდებულია წყალში განზავების შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

- შ. ლამპარაძე, ო. შაინიძე, შ. ლომინაძე სუბტროპიკული კულტურების წარმოების ტექნიკულოგია. ბათუმი. 2009. 34 გვ.
- ა. კალანდია, მ. ვანიძე კივის ქიმიური შედეგების თავისებურებანი საქართველოში. ბათუმი. 2009. 102 გვ.
- გოსტ 25555.0 პროდუქტები ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებით მიღებული. ტიტრული მუქიანობის განსაზღვრის მეთოდები.
- გოსტ 28562 მშრალი ნივთიერების განსაზღვრის რეფრაქტომეტრული მეთოდი.
- Марх А.Т., Кржецова Р.В. Химико-технический контроль консервного производства. М.: Пищепромиздат. 1962. 435 с.
- გ. კაიშაური აქტინიდის ჯიშის “მონტი” ტექნო-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლის შედეგები. საქართველოს სოფლის მეურნების მეცნიერებათა აკადემიის უკრნალი “მოამბე”. 2012. 31. გვ. 227 – 228
- გ. კაიშაური, თ. შამათავა, ნ. ლომთაძე ნატურალური წვენი აქტინიდისაგან /საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”. თბ. 2015. 34. გვ. 311 – 312.

TO STUDY THE KIWI-FRUIT FOR PRODUCING NATURAL SYRUP

Gulnazi Kaishauri

academic doctor of technical

Abstract

(Internet Version)

This work presents the results of the research of the technological indices of Kiwi-fruit “Monty”, grown in the requirement region of the West Georgia.

The aim of studying was to create products with new nutrition features, maintaining the primary taste, increasing the range of producing products.

The raw materials have been picked up from the subtropical fruit (Actinidia) that has available medicinal properties which are characterized by a great demand of the population to consider Actinidia as a diethical additive of the balanced food for a man.

As an object of research served the fruits of Actinidia the sort of “Monty” and the production made from it. Fruits are grown up on a personal plot in Zugdidi region. Researches of high qualitative indices of raw materials and the products were made by standard methods of research.

Technological indices of the grade of Actinidia “Monty” are studied. Natural juice is made from fruits of the Actinidia in the laboratory, and from the last one – natural syrup.

Juice was of light-green in color with yellowish tint, the aroma was peculiar to it with pleasant sweet-sour taste. The juice maintains the substances that contained the raw material. The per cent of preservation of vitamin C was 77%.

Natural syrup has been made from the natural juice with the existing technology. After studying, it was ascertained, that natural syrup is characterized by good commodity. It contains high consistence of dry matters, sugars and vitamins.

Qualitative indices of juice and syrup conformed to requirements of the standard of the similar productions. Natural syrup can be used after dilution with water.

4. უცყვატი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 17. მეცნიერებები

17.1. მეცნიერების არსი და მნიშვნელობა

ბიზნესის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მისი მენეჯმენტი ანუ მართვა. მენეჯმენტი, როგორც ასეთი, სრულიად დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მას თავისი საგანი და ამოცანები გააჩნია, მაგრამ იგი ბიზნესისა და ბიზნესი კი მის გარეშე არც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მენეჯმენტი იმიტომ არსებობს, რომ სწორად და მიზნობრივად იმართებოდეს ბიზნესი, ბიზნესი კი თავისი არსებობით ქმნის ბაზას და საფუძველს მენეჯმენტისათვის.

მენეჯმენტი ეკონომიკური მეცნიერებაა, მაგრამ იგი ეკონომიკის ასპექტებთან ერთად შეისწავლის აგრეთვე: კიბერნეტიკულ, ფილოსოფიურ, სოციალურ-ფიქოლოგიურ, ეთიკურ, სამართლებრივ ასპექტებს და სხვ.

მენეჯმენტი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და მართვას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით მენეჯმენტი არის მეცნიერება მართვის შესახებ. მენეჯმენტი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელებისათვის შრომით რესურსებზე ზემოქმედებისა და მათი გამოყენების მართვის მექანიზმია. იგი მმართველობითი ურთიერთობების მთელი სისტემაა.

მენეჯმენტი ანუ მართვა – ეს არის სხვადასხვა ზასიათის ორგანიზაციული სისტემის (ბიოლოგიური, სოციალური, ტექნიკური) ელემენტი. ამ სისტემების შესაბამისად გამოიყოფა მართვის სამი ძირითადი სახე: ცოცხალ გარემოში, საზოგადოებაში, არაცოცხალ გარემოში. მართვის თითოეული ეს სახე რამდენიმე სახესხვაობად იყოფა.

საერთოდ, ყველა სისტემის მართვა ეს არის მასზე ზემოქმედების პროცესი, მისი გარკვეულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად ან ახალ მდგომარეობაში გადასაყვანად, ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ობიექტური კანონებისა და მიზნის მისაღწევად გაწეული საქმიანობის შესაბამისად. მართვაში იგულისხმება, რომ ზეგავლენას ახორციელებს ადამიანი და რომ მართვა შეგნებული მოქმედებაა და ყოველთვის ისახავს რაიმე მიზანს.

მართვის ყველაზე რთული სახე სოციალური მართვაა, ე.ო. ხალხის, კოლექტივების, კლასების (რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ინტერესი) საქმიანობისადმი ზემოქმედების პროცესი. არსებობს სოციალური მართვის სამი სახე: ეკონომიკური (წარმოების); სოციალურ-პოლიტიკური (სახელმწიფოს); საზოგადოების სულიერი ცხოვრების.

წარმოების მართვა მოიცავს მატერიალური და არამატერიალური სფეროს, რეგიონების, კორპორაციების, საწარმოების (ფირმების), დარგების მართვის პროცესებს.

მენეჯმენტის უდიდეს მნიშვნელობას ბიზნესის განვითარებაში ერთსულოვნად აღნიშნავენ საქვეყნოდ ცნობილი ბიზნესმენები და მენეჯერები, მეცნიერ-ეკონომისტები, იურისტები, დემოგრაფები, სახელმწიფო მოღვაწენი, მწერლები და უურნალისტები.

მენეჯმენტის შემსრულებელია მენეჯერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ადამიანი და მისი უნარი და ინტელექტი განსაზღვრავს ბიზნესის მთელ ფილოსოფიას, მის წარმართვასა და განვითარებას. როგორც საქვეყნოდ ცნობილი ამერიკელი (წარმოშობით იტალიელი) მენეჯერი ლი იაკოკა არაერთგზის აღნიშნავს: „ყველა სამუშაო იპერაცია შეიძლება საბოლოო ჯამში გამოვხატოთ სამი სიტყვით: ადამიანები, პროდუქტი, მოგება. პირველ ადგილზე დგანან ადამიანები. თუ თქვენ არ გყავთ საიმედო გუნდი, მაშინ ყველა დანარჩენი ფაქტორიდან ნაკლებად თუ გამოგივათ რამე“. აქვე უნდა მოვიტანოთ იაკოკას შემდეგი აზრიც „თუ იაპონელი მუშის პოზიცია განისაზღვრება სიტყვებით „რაში შემთბლია დაგეხმაროთ“, ამერიკელი მუშის პოზიცია ხშირად ხასიათდება სიტყვებით „ეს ჩემი საქმე არ არის“. საწარმოო დამოკიდებულების ამ სხვადასხვა ხასიათიდან, ადამიანის წარმოების პროცესში მონაწილეობის ორი ტიპიდან აშკარად ვლინდება მეწარმეების იაპონური მოდელის უპირატესობა ამერიკულთან შედარებით, რამაც არ შეიძლება ასახვა არ პპოვოს საქონლის წარმოებაში და საერთოდ, ბიზნესში. მარტო ამ პოზიციიდანაც

ნათლად ჩანს, თუ რატომ აღწევენ უდიდეს წარმატებებს იაპონელები მსოფლიო ბიზნესში. ყველაფერი ეს მენეჯმენტის ატრი-ბუტიკაა.

საერთოდ, მენეჯერის მოვალეობაა: შეიმუშაოს და მიიღოს სამმართველო გადაწყვეტილება, დაიყვნოს ის შემსრულებელზე, შეა-მოწმოს მათი შესრულება, შეიმუშაოს და განახორციელოს შემსრულებელთა სტიმულირების შესაბამისი სისტემა. თუ ხელმძღვანელი არ არის აღჭურვილი ამ უნარით, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მენეჯერად.

17.2. მენეჯმენტის მიზანი, ამოცანა და პირითალი მოტივაცია

მენეჯმენტის ძირითადი მიზანი და ამოცანაა საქმიანობის იმდაგვარად მოწყობა (აწყობა) და ორგანიზაცია, რომ მაქსიმალური უკუგებითა და ეფექტურობით იყოს გამოყენებული რესურსები და ყველა პოტენციური საშუალება და ბერკეტი, რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა და საბოლოო ჯამში მოგების მიღება.

მოგება კი პირველ რიგში ბიზნესის ამოსავალი მიზანია: ბიზნესური საქმიანობა მხოლოდ იმიტომ არსებობს და ბიზნესიც იმიტომ გაჩნდა, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში არიან დასაქმებულები, მოგება მიიღონ.

ამრიგად, ლოგიკურად იკვეობა, რომ ბიზნესი ანუ მომგებიანი საქმიანობა – ეს მენეჯმენტის ძირითადი მოტივაციაა და მენეჯმენტი სწორედ ბიზნესზეა ორიენტირებული.

ამიტომაც, მენეჯერი უწინარეს ყოვლისა, ზედმიწევნით უნდა ერკვეოდეს და ფლობდეს ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლებს. იგი, თავის საქმიანობაში, პირველ რიგში, უნდა ხელმძღვანელობდეს ბიზნესის პრინციპებითა და მოთხოვნებით, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწევს დადგებით შედეგებს და წარმატებებს მენეჯმენტის დინამიურ პროცესში.

17.3. მენეჯმენტის პრინციპები და ფუნქციები

მენეჯმენტს თავისი სპეციფიკური ფუნქციები და პრინციპები გააჩნია.

პრინციპებიდან უნდა გამოიყოს:

- სამმართველო ფუნქციების ცენტრალიზაციისა და დეცენტ-რალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობის;
- ერთმმართველობისა და კოლეგიალობის;
- უფლებების, მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა შეთანაწყობის;
- მეცნიერულის.

ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს: 1. შრომის კოოპერაცია და ინტეგრაცია; 2. სამუშაო ადგილების რაციონალიზაცია და სრულყოფა; 3. წარმოების სტრუქტურის რაციონალიზაცია და სრულყოფა; 4. სამუშაო ძალის გამოყენების რეგულირება; 5. ძალაუფლება და მომთხოვნელობა; 6. ერთმა-რთველობა; 7. კერძო ინტერესების პრიორიტეტულობა; 8. კერძო მოტივაციების რეგულირება; 9. კო-ორგანიზაცია; 10. სტიმულირება; 11. ფუნქციების რეგლამენტირება; 12. ეკონომიკური და იურიდიული სამართლიანობა; 13. ინიციატივიანობა; 14. მენეჯერის ავტორიტეტულობა და მისი ამაღლება; 15. მიზნობრიობა; 16. სტრატეგიისა და საერთო მიზნის ერთგულება, მისი სრულყოფისა და განვითარების გათვალისწინებით; 17. კონტროლი.

ამ ძირითადი პოზიციებიდან გამომდინარე, მენეჯერსაც გააჩნია თავისი ძირითადი ფუნქციები, რომელიც ბიზნესის განვითარების კუთხით შემდგენაირად ყალიბდება – მენეჯერი:

1. უზრუნველყოფს და კოორდინაციას უწევს წარმოების განვითარებას საერთო მიზნისა და საქმიანობის ტაქტიკისა და სტრატეგიის შესაბამისად, თვითონვე ხელმძღვანელობს რა მათ შემუშავებას;
2. უზრუნველყოფს მენეჯმენტის ფუნქციებისა და პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებას;
3. უზრუნველყოფს რეკომენდაციების დამუშავებას ყველაზე ხელსაყრელი ბაზრების შესარჩევად, წარმოების პოტენციალის შესაბამისად და წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის მომგებიანი წარმართვისათვის;
4. სისტემატიურად აანალიზებს საწარმოო, საბაზრო, სოციალურ სიტუაციებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
5. სისტემატიურად აანალიზებს ინფორმაციას და იყენებს მართვაში;
6. სრულყოფს მართვის მეთოდებს, ხერხებს, საშუალებებს;
7. ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და წარმართავს მას მაღალი მოგების მიღების მიზნით;

8. ხელმძღვანელობს ტექნიკო-ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ, სოციალურ და სხვა გამოკვლევებს და მიზნობრივად იყენებს მათ შედეგებს;

9. ზრუნავს საწარმოს იმიჯის გაუმჯობესებისათვის;

10. უზრუნველყოფს სხვათა გამოცდილების გაზიარებასა და გამოყენებას;

11. ამყარებს საქმიან შიდა და საგარეო ეკონომიკურ კაგშირებს;

12. უზრუნველყოფს ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას;

13. უზრუნველყოფს საწარმოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბანკო ურთიერთობათა სრულყოფას და ამ სფეროს შეუფერხებელ ფუნქციონირებას;

14. კოორდინაციას უწევს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ მონაცვლეობას და დროულ შეცვლასა და გაუმჯობესებას;

15. უზრუნველყოფს მენეჯმენტის, როგორც მართვის მექანიზმის სისტემატიურ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

დროთა განმავლობაში მართვის ფორმებმა და მეთოდებმა დიდი ცვლილება და სრულყოფა განიცადა. ფართო მასშტაბით მუშავდება მისი ეფექტურობის ამაღლების პროგრამები. ეს პროგრამები სხვადასხვაგვარი და ნაირფეროვანია. მათგან შეიძლება გამოვყოთ:

1. ყურადღება მახვილდება საწარმოო პროცესის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ასპექტებზე;

2. ყურადღება მახვილდება სოციალურ ბერკეტებზე;

3. სიმძიმის ცენტრი გადადის მატერიალურ სტიმულირებაზე.

მენეჯერის ხელოვნებაზე დამოკიდებული თუ რომელი პროგრამა მოურგოს ამა თუ იმ ეტაპს, ანდა იქნებ მათი პროპრიეტეტი შერწყმა აირჩიოს იმისათვის, რომ ეფექტურ მიაღწიოს მენეჯმენტში.

ცნობილია რვა ნიშან-კრიტერიუმი, რომელიც ახსასიათებენ სანიმუშო მენეჯმენტის დამახასიათებელ თავისებურებებს, ესენია:

1. ორიენტაცია მოქმედებაზე, წარმატების მიღწევაზე;

2. პირით მომხმარებლისაკენ;

3. დამოუკიდებლობა და გერგილიანობა;

4. მაღალმწარმოებლურობა ადამიანისაგან;

5. კავშირი ცხოველებასთან, ფასეულობებითი ხელმძღვანელობა;

6. თავისი საქმისადმი ერთგულება;

7. ფორმის სიმარტივე, მმართველობის მოკრძალებული შტატი;

8. თავისუფლება და სიმტკიცე, ერთდროულად.

მენეჯმენტი მუდმივად უნდა განიცდიდეს სრულყოფასა და განვითარებას, რაც ძირითადად მენეჯერზეა დამოკიდებული. ამას გარდა მას განსაზღვრავს პოლიტიკური და სოციალური გარემო და პირობები, საერთაშორისო ასპექტები, მართვის ტექნიკისა და ტექნოლოგის ცვლილებები და ა.შ.

17.4. მენეჯმენტის კანონები და კანონზომიერებები

მენეჯმენტს ასასიათებს თავისი სპეციფიკური კანონები და კანონზომიერებები.

კანონებიდან აღსანიშნავია:

1. მატერიალური წარმოებისა და მომსახურების შეგნებული, მიზანმიმართული მართვის უპირატესი ეფექტურობის კანონი;

2. მატერიალური წარმოებისა და მომსახურების მართვის მიზნების, მეთოდებისა და ფორმების კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმებთან შესაბამისობის კანონი;

3. მენეჯმენტის ფუნქციების მონაცემების კანონი;

4. მართვის იერარქიული საფეხურების რაოდენობის შემცირების კანონი;

5. კონტროლის ფუნქციის გავრცელების კანონი;

6. მართვის კანონების ერთობლივად მოქმედებს კანონი.

კანონზომიერებებიდან გამოიყოფა:

- საზოგადოება მიისწრაფვის მოწესრიგებული მართვის ორგანიზაციისაკენ
- ხდება მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეთანაწყობა;
- ხდება მმართველი და სამართვი სისტემის პროპრიეტული და ოპტიმალური შესაბამისობა.

5. ინტელექტუალური საუბრები Intellectual Conversations

საუბრები ცივილიზაციაზე¹

5.1. ანტიკური კულტურის სათავეებთან

ანტიკური (ელინური) კულტურა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ უძთავრეს საყრდენს წარმოადგენს. ლათინური ტერმინი „ანტიკური“ ნიშნავს ძველს. ამ ტერმინის სინონიმად ზოგჯერ ტერმინი „კლასიკურიც“ შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა იგი ასევე გამოიყენება „უძალესის“, „საუკეთესოს“ მნიშვნელობით.

სწორედ ელინებმა (ბერძნებმა) შექმნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ცივილიზაცია, რომელიც დღემდე აძლევს საზრდოს კაცობრიობის განვითარებას. პ. მარქსის თქმით ეს კულტურა „გარკვეული თვალსაზრისით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებს“.

ბერძნები ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდნენ ძვ.წ.აღ. XI-X საუკუნეებში და უფრო ადრე არსებული პრიმიტიული საზოგადოება უეცრად გადაიყვანეს ცივილიზაციის განვითარების სრულიად ახალ დონეზე. დროთა განმავლობაში მათ ცივილიზაციის დამწყებად თვლიდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოვლინდა ეგვიპტური, შუმერულ-აქადური ანუ შუამდინარეთის, ხეთური, ეგარიტული და სხვა მაღალგანვითარებული კულტურები ხმელთაშუა ზღვის აუზში, გაიზარდა ჩვენი ცოდნა ძველი ინდური და ჩინური კულტურების შესახებ, აღმოჩნდა აგრეთვე ბერძნთა წინაპრების მიერ შექმნილი საკმაოდ მაღალი დონის მიერთური კულტურა. ამას დაემატა კაცობრიობის ისტორიის უფრო აღრიცხული პერიოდის აღმოჩინები.

ნათელი გახდა, რომ ცივილიზაციის განვითარების ელინური გზა ძველ სამყაროში იყო მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი,

¹ გამოყენებულია რ. გორდეზიანის - „ბერძნული ცივილიზაცია“ (თბილისი, 1988წ.), აღ. წერეთლის - „ძველი საბერძნეთი“ (თბილისი, 1966წ.) და ჩანაწერები სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან.

და რომ თვით იგიც ბევრად ძეველაღმოსავლური და წინაბერძნულ-ეგრისული კულტურის მიპულსებზე იყო დამოკიდებული.

ძეველი შუმერი და ეგვიპტე პირველები იწყებენ კაციბრიობის ისტორიაში ეტაპს, საიდანაც უკვე შეიძლება ლაპარაკი გარკვეული ენისა და კულტურის მქონე ცალკეულ ხალხებზე, სახელმწიფოებზე, ცივილიზაციაზე.

ზმელთაშუა ზღვის აუზში, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის წარმოშობის ძირითად რეგიონად ითვლება, შეიძლება ცივილიზაციის განვითარების სამი უმთავრესი მოდელის გამოყოფა. ეს მოდელებია: შუმერულ-აქადური, ანუ მესოპოტამიური, ეგვიპტური და ეგრისულ-ელინური.

5.2. ანტიკური კულტურის მესოპოტამიური მოდელი

მესოპოტამიური მოდელი დასაბამს ღებულობს შუმერულ ცივილიზაციაში. შემდგომ მისი რეალიზაცია ხდება აქადურ, ბაბილონურ, ხეთურ, ასირიულ და წინა აზის სხვა კულტურებში. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციის სფეროში ქალაქ სახელმწიფოების მმართველობიდან სახელმწიფოს დესპოტური ფორმის ჩამოყალიბებამდე მისვლა, როდესაც მეფე უკვე ვეებერთელა იმპერიის სათავეში ექცევა და მისი ძალაუფლება უზენაესი ხდება.

შუმერები აღმართ რომელიდაც მედიტერანული ჯგუფის ენაზე ლაპარაკობდნენ, აქადელები, ბაბილონელები, ასირიელები-სემიტური ჯგუფის ენებზე, ხეთები - ინდოევროპულზე, ხურიტები და ურარტულები - კავკასიურზე. სწორედ ამიტომ მესოპოტამიური მოდელი ძველი სამყაროს ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ცივილიზაციის მოდელად უნდა მივიჩნიოთ. ამ მოდელის გავლენის რეგიონებში წარმოქმნა დიდი მსოფლიო რელიგიები - ქრისტიანობა და მუსულმანობა.

5.3. ანტიკური კულტურის ეგვიპტური მოდელი

ეგვიპტური მოდელი საკმაოდ ახლოს არის მესოპოტამიურთან, თუმცა იგი არსებითად განსაზღვრულია ერთი ეთნოსის და ერთი რეგიონის ფარგლებით.

ეგვიპტური ცივილიზაციის ჩაკეტილმა ხასიათმა განაპირობა ქვეყნის მკვიდრთა აზროვნებაში გამოკვეთილი დაპირისპირების

ფორმირება: ეგვიპტელი ანუ ადამიანი და არაეგვიპტელი ანუ ვისაც არ ეწოდება ადამიანი. ამის გამო ეგვიპტური და მესოპოტამიური მითოლოგია და რელიგია აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ეგვიპტური დამწერლობა არასოდეს არ გასცილებია ეგვიპტის ფარგლებს.

ეგვიპტელები მხატვრული კულტურის სფეროში უფრო მეტად უღებდნენ კარს სიახლეებს, ვიდრე მესოპოტამიაში, ამიტომ ეგვიპტური სახვითი ხელოვნება ბევრად უფრო საინტერესო და დახვეწილია. არქიტექტურაში უპირატესობა სწორდერძიან კონსტრუქციებს ეძლეოდა, ხოლო პლასტიკაში კუბურ ფორმებს.

ეგვიპტე თავისი პირველი დიდი აღმავლობის შემდეგ განცდილი დაქვეითების მერე პიროვნული ინიციატივის, ინდივიდის განვითარების გზით კი არ წავიდა, რაც დამახასიათებელი იყო პირამიდის ეპოქისათვის, არამედ პიროვნულობის ჩახშობის, ინდივიდის კოლექტივის ინტერესებისათვის სრული დაქვემდებარების გზით, ხოლო რადგანაც ამ კოლექტივის სათავეში იდგა ფარაონი ანუ იგივე ლმერთი, მთელი ეგვიპტური ცივილიზაციის განვითარება მკაცრად დადგენილ და უცვლელი კანონებისა და ნორმების შესაბამისად რეგულირდებოდა, რომლის საფუძველიც ადამიანთა დამთმენობა, მორჩილება და სრული სიმშვიდე იყო. სანაცვლოდ რელიგია ნეტარ იმქვენიურ ცხოვრებას ჰქონდებოდა. ეგვიპტურ ლიტერატურაში ველარ ჰპოვა შემდგომი განვითარება ვერც ძველი სამეფოსათვის დამახასიათებელმა სიცოცხლის საოცარმა წყურვილმა, ვერც ფილოსოფიური ჩანაფიქრის ელემენტებმა, იგი გახდა მშვიდი და აუფორიაქებელი. თუმცა ეგვიპტე ძველებრაელთათვის და ბერძნებისთვისაც ითვლებოდა ყოველგვარ სიბრძნეთა სამშობლოდ.

ფარაონების ქვეყანა თავისი მატერიალური კულტურის მასშტაბებითა და ქურუმთა იდუმალებით ყოველთვის ანციფრებდა მის მეზობლებს, მოწიწებისა და მის წინაშე ერთგვარი უსუსურობის გრძნობას აღუძრავდა მათ.

5.4. ელინური (ბერძნული) კულტურა

ელინური კულტურა ეყრდნობა ეგეოსურ-ბერძნულ მოდელს. ამ მოდელმა უმაღლესი განხორციელება ჰპოვა ძვ.წ. I ათასწლეულის ელინურ კულტურაში. მისი უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანი იყო ძველაღმოსავლური ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი მითოპოეტური და ახალ, საკუთრივ

ელინური სულისათვის ნიშანდობლივი კრიტიკული, მეცნიერული აზროვნების საოცარი შეზავება.

ელინებმა შექმნეს ყველაზე პოპულარული მითები და ამასთანავე გაათავსეუფლეს აზრი მითისაგან, ბერძნებმა ეგვიპტელუბისაგან მიიღეს საკუთარი განსაკუთრებულობის შეგრძნება, ამასთან მესოპოტამიურ-ფინიკიური სილალით შევიდნენ ინტენსიურ კონტაქტებში, მათ თვალსაწიერში მყოფ სხვა ხალხებთან. ისინი ყოველთვის განადიდებდნენ წარსულში შექმნილ სიმაღლეებს, მაგრამ მუდმივად ისწრაფვოდნენ ახლის ძიებისაკენ. მათ ჰქონდათ უკიდურესად განვითარებული ტრაგიკული ხდევა, ამასთანავე ასევე განვითარებული კომიკური აღქმა სინამდვილისა. ისინი ყოველთვის ზვიადობისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ საოცრად ისწრაფვოდნენ გამარჯვებისა და დიდებისაკენ. ისინი იყნენ საოცრად ემოციურები, მაგრამ გონებას უმთავრეს პატივს მიაგებდნენ.

ამ ურთიერთსაპირისპირო თვისებების ურთიერთოვაწონასწორებულობამ მათ შეაქმნევინა ცივილიზაცია, რომლის მოდელი ესოდენ მისაწვდომი და მისაღები გახდა თავისი „დემოკრატიული ბუნების“ გამო მრავალი ხალხისათვის და ამასთანავე, მიუწვდომელი და განუმეორებული თავისი საოცარი ამაღლებულობის წყალობით.

ბერძნებმა მოახდინეს გადატრიალება კაცობრიობის განვითარებაში, მათ მისცეს ფართო გზა ადამიანის აზროვნების ფართო შესაძლებლობებს, მათ დაუსახეს გზა საუკუნეებს მხატვრული კულტურის მთელი შემდგომი განვითარებისა.

რამ განაპირობა ის, რომ სწორედ ელადაში მოხდა ამგვარი „გადატრიალება“? მიზეზი ფაქტთა მთელ სისტემაში უნდა ვეძებოთ:

- ბერძნული მოდელის ხასიათი აშკარადაა დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ გარემოსთან, რომლის წიაღშიც აღმოცენდა ელინური ცივილიზაცია. ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეიდა მთელ მაშინდელ სამყაროსთან კონტაქტების დამყარების საშუალებას იძლეოდა;

- მეცნიერთა დიდი ნაწილი მიზეზს ბერძნთა განსაკუთრებულ ნიჭები ეძებდა, მაგრამ როგორც თანამედროვე მეცნიერება გვიმტკიცებს ექსპერიმენტულად, ნიჭიერების მიხედვით მსოფლიოს ხალხებს შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის. სხვა საქმეა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ერთ გარკვეულ ეპოქაში ეს ნიჭი უფრო მკვეთრად გამოვლინდება ერთ ხალხში, მეორე ეპოქაში კი სხვაში. დღეს არავის არ შეუძლია გადაჭრით იმის თქმა, 5-10

საუკუნის შემდეგ რომელი ხალხი განაცვიფრებს კაცობრიობას თავისი „ნიჭის მოულოდნელი აფეთქებით“;

- არის ისეთი თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც ელითათვის დამახასიათებელმა შეჯიბრის ანუ აგონოსტურმა სულმა განაპირობა ბერძნული ცივილიზაციის სწრაფი განვითარება;

როგორც ჩანს უმნიშვნელოვანესი იყო ის ისტორიული მომენტიც, როდესაც ბერძნები მიზეზთა და მიზეზთა გამო ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში უცრად აღმოჩნდნენ დიდი წინაპერმული კულტურის, რომლის ცენტრსაც მინოსური კრეტა წარმოადგენდა, მეტყვიდრები. ისტორიაში ისე ინტა, რომ ეგეიდაში ბერძნებს ერთბაშად ჩამოშორდათ ძირითადი „კონკურენტი“ და მათ შედარებით დაუბრკოლებლად იტვირთეს ამ რეგიონში მეტინავეობა. როგორც ბერძნულ მთოლოვაში ზექსმა მისგან დაფეხმდიმებული ძალაუფლებადაკარგული ძველი თაობის ქალღმერთი მნემოსიმე გადაყლაპა და შემდეგ საკუთარი თავიდან შობა ბრძენი ათენა, ასევე ბერძნებმაც შეითვისეს და გადახარშეს ეგეოსური კულტურა და სანაცვლოდ უკვე თვით იწყეს შობა ახალი ცივილიზაციისა. იგივე მიმართება დაამყარეს ელინებმა მათ თვალსაწიერში მყოფ სხვა ძველ ხალხებთან, განვითარების მაღალ დონეზე მყოფ ძველაღმოსავლურ და ეგეოსურ კულტურებთან.

ელინელთა სურვილი სამყაროს მოვლენათა სიმრავლეში რაღაც კანონზომიერება და წესრიგი აღმოჩნდათ დაუქემდებარებს ლოგიკის იმ პრიციპებს, რომელთაც არსებითად განსაზღვრეს ევროპული აზროვნების გზა შემდგომ ათასწლეულებში.

რამდენადაც მანამდე კაცობრიობისათვის უცხო იყო მოვლენების შესწავლის ამგარი გზა, ბერძნები პირველაღმომჩენებად მოგვევლინენ ადამიანური შემოქმედების მრავალ სფეროში: მხატვრულ ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში. არ შეიძლება იმის არდაუნახაობა, რომ საკუთარი კანონზომიერებებით განვითარებადი ლიტერატურის ყველა ჟანრი – ეპოსი, ლირიკა, დრამა, რომანი, პირველად სწორედ საბერძნეთში ჩამოყალიბდა და გაიარა განვითარების შესაბამისი საფეხურები.

ამასთან არავის არ უთქვამს ჯერ-ჯერობით, რომ დრამაშ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რომ დღეს არაფერი ახალი აღარ იქმნება ამ ჟანრში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერავინ დაამტკიცებს, რომ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო ლიტერატურას ჰყავდა პომეროსის მსგავსი შემოქმედი, სოფოკლეს ან შექსპირის ბადალი ტრაგიკოსი, ან არისტოფანესა და მოლიერის

მნიშვნელობის კომედიოგრაფი, ან კიდევ შეიქმნა ესქილეს თუ რუსთაველის, ფიდიასის თუ მიქელანჯელოს, ანდა ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის მსგავსი და ბადალი შემოქმედება.

საერთოდ, ანტიკური საბერძნეთის კულტურის ისტორიას შემდეგ ძირითად პერიოდებად ჰყოფენ: ეგოსური ანუ კრეტამიკენის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები); ე.წ. „ბნელი წლები“ (ძვ.წ. XI-X საუკუნეები); გეომეტრიული (ანუ პომეროსის ეპოქა – ძვ.წ. IX-VIII საუკუნეები); არქაიკა (ძვ.წ. VII-VI საუკუნეები); კლასიკა (ძვ.წ. V-IV საუკუნეები); ელინიზმი (ძვ.წ. IV საუკუნის მიწურული ძვ.წ. I საუკუნე); რომაული ბატონობის (ძვ.წ. I საუკუნე – ახ.წ. V საუკუნე).

ელინები პომეროსს თავისი კულტურის აღუმატებელ მწვერვალად მიიჩნევნ, მის პოემებზე იზრდებოდა მთელი თაობები, შეიძლება ითქვას, რომ „პომეროსის მოდელის“ შესაბამისად წარიმართა მრავალი თვალსაზრისით ბერძნული ცივილიზაციის განვითარება. ყველაზე დიდი ხელოვანნი კი არ მაღავდნენ იმას, რომ მათი წვლილი სახელგანთქმულ წინაპართან შედარებით ერთობ მოკრძალებულია. ტრაგედიის მამა – ესქილე, რომლის მრავალი ათეული პიესა ბერძნული დრამატურგიის საფუძვლად გადაიქცა, ამბობს, რომ მისი შემოქმედება მხოლოდ „პომეროსის დიდი ლხინის ნასუფრალია“.

პომეროსის პოემების უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ისინი წარმოადგენენ ნაციონალურ ეპოსს – რაც ფაქტობრივად უძალდესი მხატვრული ფორმით გადმოცემული ენციკლოპედიაა. მისი ნაწარმოებები მრავალი ერთს კულტურის ხასიათის განშსაზღვრულ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გადაიქცა. ასეთი ნაწარმოებები უცილობლად იყო „ილიადა“ და „ოდისეა“.

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოები რომში იყო ვერგილიუსის „ენეიდა“, ქართველებისათვის „ვეფხისტყაოსანი“.

ბერძნული კულტურის ისტორიაში ახალი ნაკადი იწყება ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში. მის დამწერად მიჩნეულია ასევე აღიარებული პოეტი ჰესიოდი. ასპარეზზე გამოდის პიროვნება. ჰესიოდემ პირველმა თავისი პოეტური „მე“ ჩართო საკუთარ პოემებში და ამით დაუპირისპირდა პომეროსის ანონიმურობას. ჰესიოდე წინ სწევს პიროვნულ მომენტს.

არქაიგის ეპოქაშ შეცვალა გეომეტრიული. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თავისი დაუნდობელი პილიტიკური ცხოვრებით, რამაც ბევრად განსაზღვრა ბერძნული კულტურის მთელი შემდგომი გზა.

არქაიკას, ზოგჯერ ლირიკული წლების პერიოდსაც უწოდებენ. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ლირიკა, როგორც ლიტერატურული ჟანრი.

ბერძნთა განფენამ მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზში, მრავალრიცხვანი კოლონიების დაარსებამ არქაიკის ეპოქაში ბიძგი მისცა ელინთა მიერ აღმოსავლური კულტურების დიდი ტრადიციების აქტიურ ათვისებას, რაც მათ სამყაროს აღქმის ელინურ გზას დაუქვემდებარეს. ამან განსაზღვრა ელინური მხატვრული კულტურის განვითარების მთელი შემდგომი მიმართულება.

ამ ეპოქის კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა არქაული მონუმენტური ქანდაკება. აქ ელინ ხელოვანთ როდი ჰქონდათ მდიდარი ტრადიციები, მაგრამ არქაული სკულპტურის ფორმირებისას საკმაოდ სწრაფად წარიმართა და სულ რაღაც ერთ საუკუნეში მან თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია.

არქაიკა განუმეორებელია. ამ ეპოქაში მოხდა პირველი ფილოსოფიური ჩაფიქრება. მოხდა ისეთი პიროვნებების გამოსვლა ასპარეზზე, რომლებიც არსებითად განსხვავდებოდნენ მათ წინამორბედთაგან სოციალური და იდეოლოგიური თავისუფლების მაღალი ხარისხით.

ლირიკული აზროვნება უნდა ჩაითვალოს ერთგვარ გარდამაცალ საფეხურად „მე“-სა და სამყაროს შორის ურთიერთ-მიმართებაში.

ელინური აზროვნება მივიდა კითხვამდე: რა არის ყოველივეს საწყისი? ამ კითხვაზე პასუხის ძიება კი ძირითადი იმპულსი განხდა მთელი ბერძნული ფილოსოფიის განვითარებისა.

ფილოსოფიის წარმოადგენდა მოაზროვნე ადამიანის სავსებით ახალ ტიპს, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებას არავინ არ უყენებდა გამოყენებით, უტილიტურულ ამოცანებს. თუკი ყველაზე მაღალი რანგის ლიტერატურა და ხელოვნებაც კი ადამიანის დატებობისა და აღზრდისაკენ იყო მიმართული, ფილოსოფობის სწრაფვა, როგორც ამას არისტოტელეც აღნიშნავს იყო „ცოდნა ცოდნისათვის“.

თუ რას ნიშნავს კრიტიკულ-რაციონალური აზროვნების განვითარება კარგად გამოვლინდა ანაქსიმანდრეს (610-545წ.წ.) მოძღვრებაში. მან თავის თხზულებაში „ბუნების შესახებ“, პირველმა ფილოსოფიის ისტორიაში წარმოაყენა მოსაზრებათა მწყობრი სისტემა, რომელიც სამყაროს წარმოქმნისა და ფუნქციონირების ლოგიკური

ახსნის ცდას გვთავაზობდა. მან პირველმა შემოიტანა ტერმინი კოსმოსი.

ფილოსოფიის განვითარების საერთო კრიტიკულ-რაციონალისტური ტენდენციების გვერდით ჩნდება ახალი მიმართულებაც, რომელსაც მისტიკურ-მეცნიერული შეგვიძლია ვუწოდოთ და რომელიც პითაგორას სახელთან არის დაკავშირებული.

გაჩნდა ცნებაც „ფილოსოფიური რელიგია“. ფილოსოფოსები აყალიბებდნენ თავის შეხედულებებს ღმერთზე. ღმერთი არცერთ მათგანს არ უარყვა, მათ თავისი პირველსაწყისი ღვთაებრიობამდე აღამაღლეს. რასაკვრეველია, ეს ფილოსოფიური ღმერთი არსებოთად განსხვავდებოდა მითოპოეტური ტრადიციის ღმერთისაგან, რადგან იგი გონებითა და ღოგიძეური არგუმენტებით იყო გამოვლინებული. რაც მთავარია, იგი იყო მთლიანად თეორიული (ანუ პიპოთეტური) ღმერთი, ეს ღმერთი ვერასოდეს ვერ გახდებოდა კულტმსახურების, ველრების საფუძველი.

ელინები ფაქტობრივად მივიდნენ ერთი ყოვლისმომცველი ღმერთის (ღვთაებრივი არხეს) აღიარებამდე.

ბერძნული ცივილიზაცია, როგორც ვწედავთ გეომეტრიული და არქაიკული ეპოქების განმავლობაში წარმოგვიდგება ვითარცა კლასიკური სრულყოფისაკენ მძლავრი და თანმიმდევრული ლტოლვა. ამ გზაზე უთუოდ უდიდესი მონაპოვარი იყო ახალი, გამოღვიძებული ადამიანი, ახალი და მანამდე უჩვეულო დამოკიდებულებებით სამყაროსა და თავისი თავის მიმართ. იგი თანდათან განთავსუფლდა სიკვდილის წინაშე შიშისაგან, საიქიო ცხოვრებაზე ტრადიციული წარმოდგენებიდან.

არქაიკა – ეს ადამიანის გონების მიერ მიკვლეული ლირებულებებია, აზროვნებისა და შემოქმედების სფეროში მოპოვებული აღმოჩენებია. ამ პერიოდში დაიწყო ყველა იმ გზის გაგალვა, რომლებიც შემდგომ კლასიკამ უმაღლეს დონემდე და მიზნამდე მიიყვანა. ამ ეპოქაში დაისვა თითქმის ყველა ის კითხვა, რომელზეც პასუხების ძიებამ ბევრად განსაზღვრა მოელი შემდგომი ელინური კულტურის განვითარების ხასიათი.

ნიშანდობლივია, რომ არქაიკს (სხვა პერიოდის კულტურებისაგან განსხვავებით) არ განუცდია დეგრადაცია, იგი თავისი კულტურული მომენტში გარდაისახა ახალ, კლასიკურ კულტურად. ამდენად, მისთვის არსებითად მხოლოდ აღმავლობაა დამახა-სიათებელი.

5.5. მსოფლიო ცივილიზაციების ჩამონათვალი

ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ჯ. ტოინბისის
მიხედვით მსოფლიო ცივილიზაციები შემდეგი თანმიმდევრობით
არის დაღაგებული:

1. დასავლური;
2. ბიზანტიურ-ორთოდოქსალური;
3. რუსული-ორთოდოქსალური;
4. სპარსული;
5. არაბული;
6. ინდოეთისა;
7. შორეული აღმოსავლეთისა;
8. ელინური;
9. სირიული;
10. ინდისა;
11. ჩინური;
12. იაპონურ-კორეული;
13. მისონური;
14. შუმერული;
15. ხეთური;
16. ბაბილონური;
17. ეგვიპტური;
18. ანდებისა;
19. მექსიკური;
20. იუკატანისა;
21. მაიასი

5.6. ანტიკური კულტურის საოცრებაზი (მსოფლიოს შვიდი საოცრება)

როდესაც კულტურაზე, მის ფასეულობებზე, ცივილიზაციის დინებასა და შემეცნებაზე ვსაუბრობთ, უწინარეს ყოვლისა ვეხებით ანტიკურ კულტურას, რომელმაც დიდი საოცრებანი გადაშალა ჩვენს წინაშე და რომელზეც აღმოცენდა კულტურის შემდგომი ღერძი.

დაახლოებით საუკუნენახევრის წინ ქრისტეს შობამდე სახელგანთქმულმა ბერძენმა მათემატიკოსმა ფილონ ბიზანტიელმა დაწერა მცირე ტრაქტატი „დე სეპტუმ თრბის სპექტაკლეს“ - „სამყაროს შვიდი საოცრება“. იგი აღწერს შემდეგ საოცრებებს: დიდი პირამიდა; ალექსანდრიის შუქურა; ბაბილონის დაკიდული ბაღები; რომოსის კოლონი; მაუზულუსის აკლდამა ჰალიკარნასში; არტემიდას ტაძარი ეფესში; ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში.

შუქურისა და დაკიდული ბაღების გამოკლებით, ყველა ეს საოცრება რელიგიური ძეგლები, ანუ ღვთისმოსაობის ქმნილებებია. ეს ძეგლები იწვევდნენ არა მხოლოდ აღტაცებას მათი კოსტრუქციის ტექნიკური ხელოვნების მეოხებით, არამედ თაყვანისცემასაც.

XX საუკუნის 80-იან წლებში სამოქალაქო ინჟინერთა ამერიკულმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი იმის გადასაწყვეტად, თუ რომელია თანამედროვე მსოფლიო შვიდი საოცრება. შედეგი ცხადოფს, თუ რაოდენ რთულია ანტიკურობის საოცრებათა გათანაბრება დღევანდელთან. აი, ეს სიაც:

- ჩიკაგოს წყალსაცავთა განმანაწილებელი სისტემა;
- მდინარე კოლორადოს აკვედუკი;
- დიდი ხეობის დამბა (კოლუმბია);
- პუგერის ჯებირი;
- პანამის არხი;
- სან-ფრანცისკო-ოკლენდის ყურის ხიდი;
- ებბაირ სტეიტ ბილდინგი (ნიუ-იორკი, რომელიც ტერორისტებმა თვითმფრინავის დაჯახებით დაანგრიეს XXI საუკუნის დასაწყისში, 2002წ.).

შეიძლებოდა სხვა, განსაცვიფრებელი საინჟინრო სასწაულების ჩამოთვლაც, მაგალითად: რადიოტელესკოპი ჯორდელის პირას; სნოუი-რივერის ჰიდროელექტრული სქემა ავსტრალიაში; პირველი კოსმოსური თანამგზავრი, მაგრამ საეჭვოა, რომ ადამიანთა უმრავლესობამ დაასახელოს ისინი თანამედროვე საოცრებებად.

ამიტომ მარტოოდენ 7 თანამედროვე საოცრება კი არ არსებობს, არამედ შვიდი ათასი და შერჩევაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ გემოვნებაზე.

ანტიკურობის საოცრებანი მართლაც სულ სხვაა.

დიდი პირამიდა, ერთადერთი შემორჩენილი საოცრებაა იმ ხანისა, ამავე დროს საოცრებათა შორის უძველესიცაა. იგი სხვაბზე ორი ათასი წლით ადრე იყო აღმართული, ამასთან საყოველთაო აღიარებით ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია.

პირამიდა – ქვის მთაა, კაცის ხელით ნაგები, დაახლოებით 800 ფუტი სიმაღლისა და საოცარი ხელოვნება კონსტრუქციისა. იგი ოთხკუთხაა, სიმაღლე უდრის სიგრძის ფუძის ყოველი წახნაგისას, თითოეული ლოდი 30 ფუტამდე სიგრძისაა.

დიდი პირამიდა ისევე, როგორც დანარჩენი ოთხმოცი პირამიდა ეგვიპტისა სეფე-აკლდამაა და სხვა არაფერი.

ჰეროდოტეს გადმიცემით არანაკლებ განსაცვიფრებელია ლაბირინთი – უშველებელი მრავალსენაკიანი ტაძარი მოერისის ტბის ზემოთ. მას ჰქონდა 12 გადასურული ეზო, 6 მწკრივი ჩრდილოეთისკენ, 6 მწკრივი სამხრეთისაკენ. შენობაში ორი სართულია და 300-მდე ოთახი, რომელთაგან ნახევარი მიწის ქვეშაა (აკლდამებია), ნახევარი მის ზემოთ. ოთახიდან ოთახში გასასვლელები იმდენად დახლართულია, იმდენად უსასრულოა ეზოდან ეზოში გასასვლელები, რომ ყოველივე ეს განცვიფრებას იწვევს.

ეს ლაბირინთი, სინამდვილეში სააკლდამო ტაძარი უერთდებოდა ამნემპატ III-ის (ეგვიპტის უდიდესი ფარაონის) პირამიდას. დღეს არაფერია შემორჩენილი მისგან, გარდა საძირკველისა.

ლაბირინთივით საოცარია (წერს ჰეროდოტე) მოერის ტბა, რომელიც ესაზღვრება ლაბირინთს. სანაპირო ზოლის სიგრძე 420 მილს უტოლდება, ე.ი. ეგვიპტის მთელი სანაპიროს სიგრძეს. მისი უდიდესი სიღრმე 50 საუნია. ეს ვება აუზი ხელოვნურია, ვინაიდნ მის შეაგულში ორი პირამიდა დგას. ტბა წყლით მარაგდება ნილოსიდან გამოყვანილი ხელოვნური არხით, რომელიც 6 თვის განმავლობაში ავსებს მას წყლით, ხოლო დანარჩენ 6 თვეს წყალს კვლავ უბრუნებს მდინარეს.

ალექსანდრიის შუქურა – ცათამბჯენივით იყო აღმართული. მის თეთრ ზედაპირზე უამრავი სარტყელი იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ შუქურის კოშკი კი არ იყო, არამედ ციხე-სიმაგრეც, რომელსაც 300-ზე მეტი ოთახი ჰქონდა და მასში დიდი

გარნიზონიც იდგა. განსაცვიფრებელი იყო ქნიდოსელი სოსტრატეს არქიტექტურა და ხელოვნება, აგრეთვე შუქურისათვის საწვავის მიწოდება. საძირკვლის დონიდან დაწყებული ფართო სპირალური დერუფნები მიემართებან აღმა იმგვარი დახრილობით, რომ დატვირთული ცხენები იოლად ახერხებენ ზეასგლას, ამ გზის თავზე კარიბჭეა, იქვეა ამწე, რომელიც ეზიდება საწვავს მწვერვალის მაყალზე, დღენიადაგ რომ ხრჩოლავს სილურჯეში, ცეცხლს იქვე უდგას ვეება სარკე „პრიალა ქვისა“, როგორც ჩანს შუშისა, რომელიც აძლიერებს ნათელფენას იმდენად, რომ მისი დანახვა შესაძლებელი ხდება ზღვიდან 300 მილის მანძილზე.

ამ შუქურის შესახებ ბევრი ლეგენდაც შეიქმნა.

მეთე საუკუნეში, როდესაც ქაირო აშენდა, ალექსანდრია თითქმის მიტოვებულ ქალაქად იქცა. ოთხი საუკუნით გვაინ მიწისძრა მოხდა დელტაში და სამყაროს ამ საოცრების ნარჩენიც გაანადგურა ნავსადგურში.

ბაბილონის დაკიდული ბაღები. კლასიკური ხანის ყველა მწერალი, რომელთაც უნხავთ ბაბილონი, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ საუცხოო ქალაქში ვერცერთი შენობა ვერ შეედრებოდა დაკიდულ ბაღებს. ახლა არც ბაბილონია შემორჩენილი.

სიტყვა დაკიდული არასწორი თარგმანია ბერძულიდან („კრემატოს“) და იგი ტერასებს ნიშნავს. ბაღები სწორედ ტერასების სერიებზე იყო გაშენებული, მასიურ თაღოვან სტრუქტურებად. ხელოვნური მთის მორწყვა ხდებოდა ქვემოდან ამოტუმბული წყლით.

არსებობს მომხიბლავი ლეგენდა (რომელიც შეიძლება სინამდვილეც იყოს) იმის შესახებ, თუ როგორ შეიმუშავა გეგმა ასირიელთა მეფე ნაბუქადრეზარმა – მეფემ, რომელმაც შეირთო თავისი მოკავშირის (მიდიელთა მეფის ასული), ბაბილონში მობრუნებისას ნახა, რომ პატარძალი არ იყო ბედნიერი, რადგან ბაბილონი მოსაწყენ ვაკეზე მდებარეობდა, ის კი მისტიკოდა თავის შშობლიურ მთებს. მეფემ გადაწყვიტა მისთვის აეგო მთა ბაბილონშივე. მეფის გეგმით სასახლის მახლობლად უნდა გაშენებულიყო დიდი ტერასებიანი სტრუქტურა, 350 ფუტი სიმაღლისა, სადაც დარგავდნენ ხეებს, ბუჩქებს, დათესავდნენ ბალახს და გააშენებდნენ ყვავილნარს. ნაგებობის ქვედა ნაწილებში დიდი პალატები იყო ჩაფიქრებული, რომლებშიც შუა ზაფხულში სიგრილე იქნებოდა, კინაიდან მათ ფანჯრებს ფარდების მსგავსად გადაეფარებოდა სარწყავი წყლის ჩქერალები.

ამრიგად, დაკიდული ბალების მშენებლობის ისტორია სიყვარულის ისტორიაა. ამასთან, ეს არის მაგალითი ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისა.

როდოსის კოლოსი. ფილიონ ბიზანტიულის გადმოცემით: როდოსში დაიდგა კოლონი 70 წერთის სიმაღლისა, რომელიც წარმოადგენს მზის ქანდაკებას... ხელოვანმა – ქარეს ლინდიელმა შიგნიდან განამტკიცა ბრინჯაო რკინით და ქვის ოთხკუთხა ბლოკებით... მან თეთრი მარმარილოს კვარცხლბეკი გაუკეთა ქანდაკებას და პროპორციულად განალაგა ზედ წვივები, რომელთაც დაყრდნო ღმერთის ქანდაკება. „ხელოვანმა თავისი ამ ქმნილებით მსოფლიოს მისცა მეორე შზე, პარველი ბადალი“.

კოლოსის მნახველნი, რომელთაც ჰქონდათ შესაძარებელ სტანდარტებად ფიდიასისა და პრაქსიტელესის ქმნილებები, აღნიშნავდნენ, რომ ასეთი სრულყოფილი მოდელი ადამიანის ფორმისა ჯერაც არ შექმნილა დედამიწის ზურგზე და მაინც, არსებობს გადმოცემა, რომ მოქანდაკემ, დაასრულა რა თავისი ქანდაკება, აღმოჩინა შეცდომა თავის გაანგარიშებებში და თავი მოიკლა.

კოლოსი იყო შიშველი ფიგურა მზის ღმერთისა, ჰელიოსისა (აპოლონისა), რომელიც იდგა მაღალ კვარცხლბეკზე და გადასცეროდა ნავსააღურს. მისი სიმაღლე თავიდან ფეხებამდე 120 ფუტი იყო, კვარცხლბეკის ჩათვლით კი მიწის დონიდან 160 ფუტამდე. ქანდაკება 30-ჯერ და მეტად აღემატებოდა ადამიანის სიმაღლეს.

... ეს წაქცეული გოლიათი მიწაზე იწვა თითქმის 800 წელს. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთისა და ეგვიპტის ყველაზე დახელოვნებულმა ინჟინრებმა სცადეს ქანდაკების ხელახლა აღმართვა, ყველას ხელი მოეცარა. 667 წელს ქრისტეს შემდეგ არაბებმა მიჰყიდეს ებრაელ ვაჭარს ლითონის სახით.

მაუზოლეუსის აკლდამა ჰალიკარნასში. ელადის კულტურული ორბიტის ერთ-ერთი ცენტრის მმართველი იყო მაუზოლეუსი, რომელიც ქრისტემდე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა. მან დაიპყრო როდოსი და ერთხანს ბატონობდა მეზობელ ლიკიის სახელმწიფოზე. მისი სახელი შემოვიდა თანამედროვე ენაში და დამკვიდრდა როგორც სიტყვა „მავზოლეუმი“.

მისი მეუღლის არტემიზის ერთგულების წყალობით, თავისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, საბერძნეთიდან თავი მოუყარა საუკეთესო ხელოვანთ – მოქნდაკეებს და ააგებინა აკლდამა. პირამიდასთან და როდოსის კოლოსთან შედარებით იგი

მინიატურული ძეგლია, მაგრამ მისი გეგმა იმდენად მშვენიერი იყო, სკულპტურული დეკორაცია იმდენად მდიდარია, რომ პალიკარნასის მავზოლეუმი გადაიქცა შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთად.

არტემიზია არ მოსწრებია მის დასრულებას, მაგრამ ხელოვანთ გადაწყვიტეს დაესრულებინათ აკლდამა „თავისი სახელისა და ხელოვნების უკვდავსაყოფად“.

არტემიდეს ტაძარი ეფესოში. ეს იყო საკურთხეველი აზის უძველესი დედა-ქალღმერთისა. ბერძნებისათვის იგი არტემიდე იყო, რომაელთათვის – დიანა-ნადირობის ქალღმერთი.

ტაძარში 127 სვეტი იყო, თითოეული 60 ფუტის სიმაღლისა, 36 ქანდაკებით დამშვენებული. აქ იყო მრავალი სურათიც. ირგვლივ იშვიათი პეიზაჟია, გარშემორტყმული მთებით.

ზევსის ქანდაკება ოლიმპაში. ქრისტეს შობამდე მეხუთე საუკუნეში შექმნა ფიდიასმა ეს ქანდაკება.

ზევსი იჯდა ოქროს ტახტზე, რომელიც ძვირფასი ქვებით, ეკალ-მუხითა და სპილოს ძვლით იყო მოპირკეთებული, ფეხები ედგა პატარა საკარცულზე, რომელიც იდგა თაყვინისმცემელთა თვალების დონეზე. მარჯვენაში ეპურა ოქროსა და სპილოს ძვლის ემბლემა გამარჯვებისა, მარცხენაში – სკიპტრა ძვირფასი ლითონისაგან ნახელოვნები, რომელზეც იჯდა არწივი. მის მძლავრ მხრებზე, რომელიც სპილოს ძვლისაგან იყვნენ გამოყვანილი, დიდი ოქროს მანტია იყო გადავენილი, ყვავილებისა და ცხოველების გამოსახულებით მოხატული, მისი წვეროსანი, მშვიდი სახე მსხვილი წარბებითა და ხშირი კულულებით იყო დამშვენებული.

5.7. ქართული ფილოსოფიური აზრი (პეტრე იბერი და იოანე პეტრიშვილი)

პეტრე იბერმა, რომელიც მოღვაწეობდა V საუკუნეში, სახელი გაითქვა ბიზანტიის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთში. იგი ქართული სირიული სკოლის მეთაური იყო.

აკად. შ. ნუცუბიძის აღმოჩნით პეტრე იბერი ითვლება არეოპატიკული მოძღვრების ავტორად. ეს თვალსაზრისი, ათი წლის შემდეგ, დამოუკიდებელი გზით, დადასტურდა ბელგიელი მეცნიერის ერნესტ ჰონიგმანის მიერაც.

პეტრე იბერი იყო პალესტინის ტაძართა მშენებელი და მაიუმღაზის მთავარეპისკოპოსი. შ. ნუცუბიძემ დამტკიცა, რომ ფსევდო დიონისე არეოპატიკული ეს იგივე პეტრე იბერია.

პეტრე იბერი იყო ავტორი ფილოსოფიურ-თეოლოგიური წიგნებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდეგდომინდელი კაცობრიობის გრანატიზულ კულტურულ მოვლენებს – რენესანსისა და პეტანიზმს. პეტრე ქართველს თანამედროვე და შემდეგდომინდელი მწერლები ასეთი ტიტულებით ამკობდნენ: „მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგმიშვილი ადამიანი“, „მფლობელი ზეციურ განძთა“, „გული, აზრი და ქცევა მისი – უცილობელი ყველა დროისათვის“, „მშვენება და დიდება საქართველოსი“, „მეოქე მთელი ქვეყნისა“, „კედელი მთელი დედამიწისა“, „სამკაული და სიქადული ქართველთა“, მას მოციქულ პავლესა და განსაკუთრებით მოსეს ადარებდნენ.

იოანე პეტრიშვილი შეუსაუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა.

იგი კონსტანტინეპოლიში გაემგზავრა სწავლის მისაღებად და იქვე განაგრძო მოღვაწეობა, სადაც სახელი დიდად მოუხვეჭია. შემდეგ მოღვაწეობდა პეტრიშვილის ქართულ სემინარიაში, რომელიც ბულგარეთში მდებარეობდა და რომელიც ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულა (1083წ.), ბოლოს კი გელათის აკადემიაში.

პეტრიშვილის უთარგმნია არისტოტელეს, ნემესიოს და პროკლეს თხზულებები.

იოანე პეტრიშვილის მთავარს და ამავე დროს ორიგინალურ ფილოსოფიურ თხზულებას წარმოადგენს პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ თარგმანისადმი დართული კომენტარები.

მიჩნეულია, რომ იოანე პეტრიწი, რომელსაც „წილად ხვდა ბიზანტიური რენესანსის გაგრძელება“, ბიზანტიურ რენესანსზე და კერძოდ, იოანე იტალზე უფრო შორს მიდის: „თუ იოანე იტალი თავის აღსარებაში“ ცდილობს ფილოსოფია ოცნლოგიას „შეუგუოს“, იოანე პეტრიწი, პირიქით ცდილობს ეკლესიის მოძღვრებანი შეუგუოს ფილოსოფიას.

პროფ. კ. ჯაჭვლიძე „ქართული მწერლობის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ: „იოანე პეტრიწი ურყველად აგრძელებს ქართული ფილოსოფიის წინადროინდელ ხაზს: ის ფილოსოფიას ქრისტიანობის სამსახურში აყენებს, მას სურს ქრისტიანობა ფილოსოფიურადაც დაასაბუთოს და გაამართლოს... არავითარ გადახრას ქრისტიანული დოგმატებიდან, არავითარ გადახრას წარმართობისგან, იქნება ის ბერძნული თუ ქართული, იმაში ადგილი არა აქვს.“

პეტრიწის ფილოსოფიის მიხედვით მიწიერი სინამდვილის დამოკიდებული ღირებულება და მნიშვნელობა ოთხივე თვალსაზრისით არის უარყოფილი: როგორც ონტოლოგიური (ყოფიერება, არის, რეალობა), აგრეთვე ეთიკური, ესოეტიკური და გნოსეოლოგიური თვალსაზრისით. ყოველი წინა საფეხური არის მიზეზი შემდეგი საფეხურის „მყოფობისა“, სიკეთისა, „მორთვისა“, „ძალისა და შუენიერებისა“, ხოლო „უზნაური ერთი“ არის მთელი სინამდვილისა და მოვლენების“ ოთხივე მხრივ საფუძველი. ამ „ერთიდან“ ბუნებამდე მრავალი საფეხურია მოთავსებული და ყოველი საფეხური წარმოადგენს მანძილის გაღრმავებას „ერთსა“ და ბუნებას შორის.

ი. პეტრიწის ფილოსოფიაში პროგრესული ის რაციონალიზმი, დასაბუთების მომენტი, სინამდვილის სურათის „სილიგისტური“ აუცილებლობით წარმოდგენის ცდა იყო, რომლის ცდაც ძველ ქართულ ფილოსოფიაში ყველაზე ღრმად და თანმიმდევრულად პეტრიწთან არის მოცემული.

მაგრამ პეტრიწის ფილოსოფია, მეორე მხრივ, მკაცრ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა გაბატონებულ მსოფლმხედველობასთან და ეს იყო მიზეზი მისი ისტორიული დამსახურებისა, აგრეთვე იმ დევნისა და შევიწროებისა, რომელსაც იგი განიცდიდა.

5.8 ექვსი საინფორმაციო ოპოლუცია

კაცობრიობის ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია საინფორმაციო ოპოლუციები.

კაცობრიობის წარმოშობა აღინიშნება პირველი საინფორმაციო ოპოლუციით. შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, თუ როგორ გამოეყო ადამიანი ბუნებას – პირველი შრომის იარაღის გამოგონების წყალობით, თუ დანაწევრებული მეტყველებით. და მანც, ენა პირველ უდიდეს საინფორმაციო გამოგონებას წარმოადგენს. იგი, ამასთანავე არის ეროვნული ცნობიერების პირველი მოდელი.

მეორე ინფორმაციული ოპოლუცია, რომელიც მოიცავს დამწერლობის გამოგონებას, პირველისაგან გამოყოფილია რამდენიმე ათასი წლის პერიოდით. ამ რევოლუციის წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი რაოდენობის ადამიანების შეერთება ცოდნასთან. უძველესმა ცივილიზაციებმა შეძლეს დაეგროვებინათ მონაცემთა უზარმაზარი ბაზა, შეექნათ გიგანტური საინფორმაციო საკავება, ისეთები, როგორიცაა ალექსანდრის ბიბლიოთეკა. სწორედ ამან უზრუნველყო კულტურისა და მეცნიერების განვითარების შესაძლებლობა.

მესამე საინფორმაციო ოპოლუციის არის შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით – წიგნის ბეჭდვა. მან უპრეცედენტო გავლენა იქნია ურბანიზაციის პროცესზე, არნახულად მძლავრ ტექნოლოგიურ რევოლუციაზე, მომზადდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სხვადასხვა კულტურა და ცივილიზაცია დააყენა გლობალიზაციის გზაზე.

იბადება კითხვა: რა არის პირველადი – ინფორმატიზაცია, სამეცნიერო აზრის განვითარება, რელიგიური რეფორმაცია თუ ეკონომიკური განვითარება? ნათელია, რომ ყველა ეს პროცესი ერთმანეთთან დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებულია და მათი განვითარება ერთმანეთს ავსებს და უბიძებს.

მეოთხე საინფორმაციო ოპოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონისა და ტელევიზორის შექმნასთან. ამ დროს მთავარი შედეგი გახდა სივრცის გადალახვა. მსოფლიო პატარა გახდა.

მეხუთე საინფორმაციო ოპოლუციას შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური. შესაძლებელი გახდა მონაცემთა და ცოდნის გიგანტური, ავტომატიზებული ბაზების ჩამოყალიბება. ამას შემდგომი განვითარებისათვის საზღვარი არ აქვს

და მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის, რომელიც ფლობს გლობალურ ქსელებთან შეერთებულ პერსონალურ კომპიუტერს, ნებისმიერ ღროს და პლანეტის ნებისმიერ წერტილში.

მეხუთე საინფორმაციო რევოლუციის მთავარ შედეგს წარმოადგენს დროის დაძლევა, გადაცემული და გადამუშავებული ინფორმაციის გიგანტური სიჩქარისა და მოცულობის წყალობით.

მეოთხე და მეხუთე საინფორმაციო რევოლუციებმა ტოტალიტარული რეჟიმების მარცხამდე მიგვიყანა. ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობა (მოწყობა) სულ უფრო მკაფიოდ დამოკიდებული ხდება ინფორმატიზაციის საშუალებების განვითარებაზე.

უკვე აშკარად გამოიგეთა მექქსე საინფორმაციო რევოლუციის ნიშნები, რომელიც დაფუძნებულია ადამიანური ცოდნის საექსპერტო სისტემებსა და ხელოვნური ინტელექტის სხვა საშუალებების გლობალიზაციაზე. ამ პროცესების განვითარებისას გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს საუკეთესო ფორმით გამოიყენოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი.

როგორც ჩანს იწყება ინოვაციური ანუ ცოდნის ეკონომიკის ხანა. ქვეყნები გაიყოფიან პრინციპით – არის მეცნიერება, არ არის მეცნიერება, ვინაიდან მარტოხელა მეცნიერების დრო დიდი ხანია გავიდა, ხოლო სამეცნიერო სკოლები დარჩება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომელთაც ამისათვის გააჩნიათ აუცილებელი და საკმაოდ ძვირადღირებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, რისი შენახვაც ყველას როდი შეუძლია.

მიმდინარეობს მეცნიერების კონცენტრაცია მოწინავე ქვეყნებში. საგულისხმოა, რომ ყოველწლიურად აშშ მსოფლიო საპატენტო ბაზარზე დაახლოებით 600 ათას პატენტს, ლიცენზიასა და საავტორო უფლებას ყიდის, გერმანია და იაპონია – თითქმის 4-ჯერ ნაკლებს (129 ათასს), ხოლო რუსეთი 130-ჯერ ნაკლებს და ცოტათი მეტს ვიდრე პატარა უნგრეთი. ეს მონაცემები თავად მეტყველებენ ზემოთქმულზე.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამტკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე; კაპიტალზე, რომელიც მოიცავს საწარმოო საშუალებებს და შრომაზე. თანამედროვე პირობებში მათ დაემატა ახალი, მეოთხე ფაქტორი – საინფორმაციო. ახლა ეკონომიკის ზრდა გადამწყვეტი ხარისხით ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

შიდაარსი—CONTENTS

	83.
1. აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy	5
ომარ ქეშელაშვილი-სასურსათო პროფესიის ფასწარმოქმნის სტრატეგია და მისი რეგულირების მექანიზმი	5
O. Keshelashvili-Food product pricing strategy and its regulation mechanism.....	20
2. სელექცია და გენეტიკა-Breeding and Genetics	21
ნ.მერაბიშვილი, ლ.ბაიდაური, მ.მერაბიშვილი-ხორბალ გეორგი- კუმისა და ხორბალ დიკას შეჯვარებით მიღებულ F ₁ -F ₂ თაობის ჰიბრიდებში მთავარ თავთავზე მარცვლების რიცხვის მემკვიდრე- ობა	21
N. Merabishvili, L. Baidauri, M. Merabishvili- Inheritance of Quality of Grains in a Main ear of Hybrids of the First and Second Generation received as a Result of Crossing of Wheat Georgicum with Dika Wheat	24
ნ.მერაბიშვილი, ლ.ბაიდაური, მ.მერაბიშვილი- ხორბალ გეორგი- კუმის და ხორბალ ქართლიკუმის შეჯვარებით მიღებული F ₁ -F ₂ თაობის ჰიბრიდებში მთავარი თავთავის მარცვლის მასის მემკვიდრეობა	25
N. Merabishvili, L. Baidauri, M. Merabishvili- Inheritance of Weight of Grain in the Main Ear in Hybrids of F1-F2 Generations at Crossing of Wheat Georgicum with Dika Wheat	29
3. პავბის მრავალობა- Food Industry	30
ნ. ბაღათურია, ნ. ბეგიაშვილი, ლ. კოტორაშვილი, მ. ორმო- ცაძე-გარემო ჰიბრიდებისა და მოვლა-მოყვანის მეთოდების გავლენა ეთერზეთოვანი მცენარეების ქიმიურ-ტექნოლოგიურ თვისებებზე... 30	30
N. Baghaturia, N. Begiashvili, L. Kotorashvili, M. Ormotadze- INFLUENCE OF THE CARE-GROW METHODS AND ENVIRONMENTAL CONDITIONS ON THE CHEMICAL-TECHNOLOGICAL FEATURES OF THE ESSENTIAL OILED PLANTS	37
გ.გრიგორაშვილი, ა.ხოტივარი-ფაქტობრივი კვების შესწავლა მოზარდთა ორგანიზებულ კონტინგენტში	38
G. Grigorashvili, A. Khotivari- Study of factual nutrition in adolescents organized contingent	44
გ. გრიგორაშვილი, ა. ხოტივარი-ახალი სახეობის პროფილა- ქტიკური პროდუქტი თუთის დეფიციტის კორეგირებისათვის45	45
G. Grigorashvili, A. Khotivari- A new product – prophylaxis and correction of zinc deficiency	49

გ. კაიშაური- კივის ნაყოფის გამოკვლევა ნატურალური ვაჟინის დამზადების მიზნით	50
G.Kaishauri- TO STUDY THE KIWI-FRUIT FOR PRODUCING NATURAL SYRUP	54
4. უცყვეთი სფავლების დარბაზი-Concant Studying Hall	
(ო. ქეშელაშვილი (O. Keshelashvili)	55
ლექცია 17. მენეჯმენტი	55
17.1. მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა „„„„„„„„„„„„„„„„„„„„	55
17.2. მენეჯმენტის მიზანი, ამოცანა და ძირითადი მოტივაცია.....	57
17.3. მენეჯმენტის პრინციპები და ფუნქციები	57
17.4. მენეჯმენტის კანონები და კანონზომიერებები	60
5. ინტელექტუალური საუბრები-Intectual Converastions	
(ო. ქეშელაშვილი (O. Keshelashvili)	61
საუბრები ცივილიზაციაზე	61
5.1. ანტიკური კულტურის სათავეებთან	61
5.2. ანტიკური კულტურის მესოპოტამიური მოდელი	62
5.3. ანტიკური კულტურის ეგვიპტური მოდელი	62
5.4. ელინური (ბერძული) კულტურა	63
5.5. მსოფლიო ცივილიზაციების ჩამონათვალი	69
5.6. ანტიკური კულტურის საოცრებანი (მსოფლიოს შეიდი საოცრება)	70
5.7. ქართული ფილოსოფიური აზრი (პეტრე იბერი და იოანე პეტრიწი).....	75
5.8 ექვსი საინფორმაციო რეკოლუცია	77
შინააღსი-CONTENTS	79

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღები სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx—11; 1,0 ინტერვალზე). ერთი ეგზემპლარი და CD-ზე.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;

2016 წლის III კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გ.მოსაშვილი—აკადემიური დოქტორი—ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, თ. ეპიტაშვილი (ინგლისური ვერსია).

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მსარდამჭერები არიან:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზი-დენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

**სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 4,9
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 5.1**